პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქ·რევკომის
ორგანო

7 დეკემბერი
ოთხშაბათი

1917. სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა გერმანიასთან.
არმიის დემობილიზაციის დასაწყისი.
გამოაშკარავდა, რომ მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერების ორგანო გამოდის ამერიკელი მილიარდერების ფულით.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 [illegible]

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

№ 230 ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 1921 წ. № 230

„ხმა ერისა...“

ჩვენი პარტიის მიერ აღძრული კამპანია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის სასარგებლოთ ფართოვდება და ღრმავდება. მისმა მძლავრმა მიმდინარეობამ ჩაითრია და აამოძრავა როგორც მეზობელ რესპუბლიკებში, ისე განსაკუთრებით საქართველოში, ხალხის ფართო მასები. დაწყებული პარტიული ორგანიზაციებიდან და უპარტიოთა მასებიდან ცენტრში, ეს კამპანია მოედო პროვინციას, მისი ტალღა თანდათან აღწევს მივარდნილ კუნჭულებსაც კი და თავის მსვლელობაში ჰქმნის მთელი მშრომელი ერის ხმას, ხმას გარკვეულსა და ერთსულოვანს ამიერ კავკასიის ერების ძმური კავშირის, და ბოლოს ყველა საბჭოთა ქვეყნების მჭიდრო ეკონომიურ და პოლიტიკური თანამშრომლობის, მათ საკავშირო გაერთიანების სასარგებლოთ· „ერთ და სამპიროვან მუსავატის“, ამიერ-კავკასიაში გაბატონებული სამივე ბურჟუაზიული პარტიების მიერ რუსეთის რევოლიუციისაგან გამოთიშული, ნაწილებათ დაკუწული და ერთმანეთს მტრულათ გადაკიდებული ხალხები ჩვენი მხარის კვლავ ეძებენ და პოულობენ შემაერთებელ გზას, კვლავ აბამენ დაწყვეტილ კავშირს, რაც, შექმნილ საშინაო და საგარეო პირობებში წარმოადგენს ერთათ ერთ საიმედო საშუალებას, მათი გამძლავრებისა და საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებისათვის.

ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებით ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და ინტელიგენტურ ნაწილებში ფეხი მოიკიდა იმ შეხედულებამ, თითქმის ტრადიციის სიმტკიცეს იძენდა ის აზრი, თითქოს ეგრედ წოდებული დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნის— ფაქტიურათ დამოკიდებულება უცხოეთის შავი ძალებისაგან,—თავისუფლება მისი—ფაქტიურათ კი დამონება ისევ იმავე ძალებისა და შინაური ბურჟუაზიის მიერ მისი სახელმწიფოს საშუალებით—თითქოს ყოველივე ეს აუცილებელი იყო მშრომელი ხალხის ყოველდღიური სასიცოცხლო ინტერესებისა მომავალი კეთილდღეობისათვის. ნამდვილათ კი ამიერ-კავკასიისა, და კერძოთ საქართველოს. უკანასკნელი სამი წლის სინამდვილე მოწმობდა სულ წინააღმდეგს, როგორც ხალხთა ურთიერთ შორის განწყობილებაში, ისე მათ შინაურ ცხოვრებაში, ისევე დაბოლოს მტაცებლური იმპერიალიზმის მათდამი დამოკიდებულებაში. ერთა შორის შუღლი და ომები, შიგნი მქონებელი კლასების თავაშვებული თარეში, ყველასი კი გარეშე შავი ძალების ლუკმათ გახდომა, მათი შავ ზრახვათა და ბატონობის იარაღათ გადაქცევა— ასეთი იყო შედეგი მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელების ნაციონალისტური პოლიტიკის ამიერ-კავკასიაში, ამას მიხვდა ჩვენი ხალხი, ეს შეიგნო მისმა მშრომელმა მასსებმა. ეს შეგნება დიდის სისწრაფით წინ წავიდა განსაკუთრებით საქართველოში საბჭოთა რეჟიმის გამოცხადების შემდეგ· აშკარა შეიქნა ხალხისთვის, რომ ოქტომბრის რევოლიუცია და მის მიერ შექმნილი ახალი რუსეთი, რუსეთი მუშურ-გლეხური, არის მოკავშირე მისი და არა მტერი, დამხმარე მისი, რომელსაც სჭირდება მისი ძმური დახმარებაც, რომ მეზობელ ქვეყნების ბედილბალი, განსაკუთრებით იქ მშრომელთა ძალა-უფლების გამოცხადების შემდეგ, გადაჯაჭვულია მისაზე, რომ ყველა ერთათ შეადგენენ ერთ ძმურ ოჯახს, რომლის გამაგრება შიგნი, განმტკიცება მისი საერთაშორისო მდგომარეობის მიმდინარე ისტორიულ მომენტში და გიგანტურ ძალთა შეურიგებელ ჭიდილში, შეადგენს აუცილებელ პირობას არსებობისას და გამარჯვებისას.

ამ საერთო მიდრეკილებას თანხმობისაკენ, მჭიდრო კავშირისაკენ სწორათ აუღო ალღო მშრომელთა პარტიამ, ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, როდესაც მან აუცილებლათ აღიარა ფედერატიული კავშირის გამოცხადება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. და ის ფართო გამოძახილი, რომლითაც შეხვდენ როგორც მეზობელ რესპუბლიკებში, ისე ჩვენში მშრომელთა ფართო მასსები ამ გადაწყვეტილებას, საუკეთესო მაჩვენებელია პარტიის მიერ გადადგმული ნაბიჯის მიზანშეწონილობისა და სისწორის. იმ მრავალრიცხოვანი კრებებისა და მიტინგების დადგენილების შემდეგ, რომელთა შესახებ ყოველი მხრიდან მოსდის ცნობები პარტიულ ცენტრებს, მოგვდის ჩვენ, მხოლოთ თავზე ხელაღებულ ავანტიურისტებს, ხალხისა და რევოლიუციის აშკარა მტრებს, შეუძლიათ დასახონ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილება ხალხის ნების უარისყოფათ, როგორც ამას ამბობენ აქა იქ გაუსწორებელი კუზიანი მენშევიკები და ჩვენი ბურჟუა—ნაციონალისტური ინტელიგენცია, რომელიც ჩამორჩენ ხალხს და აღარასფერი გაეგებათ მისი ჭეშმარიტი სულისკვეთების, ისევე როგორც არასფერი გაეგებოდათ მათ თავის ბატონობის დროსაც.

ამიერ-კავკასიის ერებმა, ჩვენმა ხალხმა, მისმა მშრომელმა მასსებმა თავი დააღწიეს იმპერიალისტურ ძალებს, ამ ძალების აგენტებს და შეუკავშირეს თავისი მომავალი ძველი ქვეყნის გარდაქმნაში ჩაბმულ საბჭოთა რესპუბლიკებს და საბოლოოთ დიდ საბჭოთა ფედერაციას, რომელიც ხელმძღვანელობს დღეს მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობას მონათმფლობელთა წინააღმდეგ.

„ხმა ერის“ გარკვეულათ და მედგრათ ისმის დღეს ჩვენში საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული კავშირისათვის. „ხმა ერის“ გასაქანს არ მისცემს ხალხების ერთმანეთზე წამსისიანებელთ და პროვოკატორებს, ეს ხმა საბოლოოთ დაასამარებს ხალხის ყველა მტრებს, განამტკიცებს მშრომელთა დიდ კავშირს, გამარჯვებამდის მიიტანს აფრიალებულ დროშას რევოლიუციისას.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია და პროფკავშირები

რა იწვევს ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის საჭიროებას და რა გავლენას იქონიებს ის ჩვენი რესპუბლიკების პროფესიონალურ მოძრაობაზე—აი საკითხი, რომელიც გვაინტერესებს ჩვენ, ამ მოძრაობის მუშაკთ.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენ საერთაშორისო პირობებს, რომელშიაც გვიხდება საბჭოთა ძალაუფლების შენება ამიერ-კავკასიაში, მაშინვე გავიგებთ, როგორ ემუქრება დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ჩვენ რესპუბლიკებს. დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებს შესანიშნავათ ესმით, რომ კარგათ მოწყობილი ადმინისტრატიული აპარატით და მწყობრათ დაყენებული სამეურნეო ორგანოებით აღჭურვილი ძლიერი საბჭოთა რესპუბლიკების არსებობა აქ, ახლო აღმოსავლეთში, სადაც აზერბაიჯანის მუსულმანური საბჭოთა რესპუბლიკაც არის, ნიშნავს ამ აღმოსავლეთში მუდმივ გაღონიერებას რევოლიუციონური მოძრაობისას, რომელიც მიმართული იქნება უცხო კაპიტალის ბატონობის მოსასპობათ და საბჭოთა ძალა-უფლების დასამყარებლათ, როგორც მშრომელთა ბატონობის ერთიანი ფორმის, როდესაც ყველა მიწები, ფაბრიკები და ზავოდები რამდენადაც ეს უკანასკნელები მოიპოებიან აღმოსავლეთში) მშრომელთა კუთვნილებათ გამოცხადდებიან.

იგრძნო რა ასეთი საფრთხე, დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ამოძრავდა და მის დასახმარებლათ გაეშურნენ კავკასიის მშრომელთა მოღალატენი: ჩერმოევი, ჟორდანია, ხატისოვი და პარიზში, საფრანგეთის მუშების და გლეხების ჯალათის, ბრიანის, ხელმძღვანელობით შექმნეს ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციის „შავი კავშირი“.

ამის საპასუხოთ ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები ჰქმნიან თავის ძლიერ კავშირს, ამიერ-კავკასიის მუშურ-გლეხურ ფედერაციას.

თუ ჩვენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ მდგომარეობას ჩავუკვირდებით, ვიტყვით რომ ისტორიული აუცილებლობა ერთიანი ეკონომიური ცენტრის შექმნის საჭიროებისა, ისეთი ცენტრის, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამიერ-კავკასიის მეურნეობის უმთავრეს დარგებს, არა ნაკლებ საგრძნობი არის, ვინემ შექმნა პოლიტიკური ცენტრის.

ერთი რომელიმე რესპუბლიკის საწარმოო ძალთა აღდგენის საქმე მჭიდროთაა დაკავშირებული ასეთივე ძალების განვითარებასთან მეორე რესპუბლიკაში. ამ ეკონომიურ დამოკიდებულების ხაზი წითელი ზოლითაა გაბმული ბაქოდან ბათუმისაკენ, ფოთი—ჭიათურა—ბზიბი—ალავერდისაკენ და სხვ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მეურნეობის განვითარება ხელსაყრელია ჩვენი ფინანსიური საკითხის მოსაწესრიგებლათ.

ამ რესპუბლიკების ერთიანი საგადასახადო სისტემის შექმნა, ემისიის მოწესრიგება, და საწარმოო დაწესებულებათა გადასვლა მომჭირნეთ გამომუშავებულ ბიუჯეტზე, გააჯანსაღებს ჩვენ ფინანსებს, განამტკიცებს ჩვენი მანეთის ღირებულებას და გამოიწვევს ცხოვრებაში ერთიან ფულის ნიშანს, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთელი ქონებითა და ერთიანი საკავშირო ხელისუფლებით.

დიდი ეკონომიური უპირატესობისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის მომასწავებელი იქნება შექმნა ამიერ-კავკასიის ეკონომიური საბჭოსი, რომელიც, ყოველი ცალკე რესპუბლიკის სამეურნეო გეგმის განხილვით, შესძლებს გამოარკვიოს მრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარების დონე ამა თუ იმ რესპუბლიკაში, კავკასიის მეურნეობის, როგორც მრთელის, საუკეთესო მოსაწყობათ.

უკვე არსებობს ამიერ-კავკასიის ზოგიერთი გაერთიანებული სამეურნეო ორგანო. ასეთები არიან: რკინის გზა, საგარეო ვაჭრობა და როგორი უნდობლობითაც არ უნდა უყურებდნენ ამ სამეურნეო გაერთიანებულ ორგანოებს, ჩვენ შეგვიძლია, როგორც გაცნობილებს მათ მოღვაწეობასთან, ვაღიაროთ, რომ მათ მიერ გაკეთებული საქმე დიდია და თუ მათ ვერ მოახერხეს ყოველივე იმის გაკეთება რაც შეეძლოთ მათ, ეს მოხდა მხოლოთ იმ მიზეზის გამო, რომ არ არსებობდა ის სამეურნეო და ადმინისტრატიული ცენტრი, რომელზედაც შეეძლოთ მათ დაყრდნობა თავის ყოველდღიურ მუშაობის დროს.

თუ მართალია ის, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება შეჰქმნის მათ განსაკუთრებულ სიმტკიცეს, არა ნაკლებ მართალია ისიც, რომ ასეთი სიმტკიცის ნიადაგზე შეუძლია მხოლოდ გამძლავრდეს ამიერ-კავკასიის პროფესიონალური მოძრაობა.

ჩვენი პროფესიონალური მოძრაობის სისუსტე წარმოსდგება იქიდან რომ არ არსებობს ერთიანი სამეურნეო და ადმინისტრატიული ცენტრი, რომელსაც მხოლოდ შეუძლია გამოიყვანოს ამიერ-კავკასიის პროფესიონალური მოძრაობა იმ ორგანიზაციული, სატარიფო და სამეურნეო ჩიხიდან, რომელშიაც მომწყვდეულია ის საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის პროფკავშირების ურთიერთ შორის დამოუკიდებლობის გამო.

დიდი იქნება ამიერ-კავკასიის პროფკავშირებისათვის უპირატესობა მუშაკებისა და საშუალებათა მხრივ (როგორც შედეგი სამეურნეო განვითარების, თუ შეიქმნება ერთიანი კავშირი ფოსტა-ტელეგრაფის მუშამოსამსახურეთა, ტრანსპორტის, მაღაროს, მიწის, ტყის, მედიკურ-სანიტარული მუშების და სხვ.

ამიერ-კავკასიის პროფმოძრაობის გაერთიანება მოგვცემს ჩვენ საშუალებას საჭიროებისდა გვარათ საჩქაროთ გავგზავნოთ რომელიმე ინსტრუქტორ-ორგანიზატორი იმ რაიონიდან სადაც კავშირები ძლიერნი არიან იმ რაიონში, სადაც ისინი სუსტობენ. დღეს-დღეობით ჩვენ ამას ვერ ვახერხებთ, რადგან საქართველოს, სომხეთისა და ადერბეიჯანის კავშირები დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან, რის გამოც ძალთა ასეთი განაწილება აუცილებლათ ბრკოლდება.

კავშირების დამოუკიდებლობამ ერთი-ერთმანეთისაგან მიგვიყვანა იქნამდე, რომ დღეს არსებობენ მთელი რიგი სუსტი კავშირების, რომლებიც მოკლებულნი არიან საშუალებას გაუსწორდნენ მათ წინ აღმართულ ამოცანებს, მით უმეტეს ვერ შესძლებენ ისინი მოახერხონ ეს იმ ახალ რთულ პირობებში, რომელშიაც კავშირებს მოუწევთ მუშაობა.

სისხლნაკლულევანება ჩვენი კავშირების წარმოსდგება იქიდან, რომ არ არსებობს ერთიანი სამეურნეო ცენტრი. მხოლოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას შეუძლია ჩაუყაროს მაგარი საძირკველი ჩვენი პროფკავშირების ერთიან ცენტრს, რომელიც იზოვნის ამ ფაქტით ნორმალურ საზრდოს და ორგანიზაციულათ განამტკიცებს მას.

დიდი იქნება სამუშაო ქირაც თუ შესდგება ერთიანი ფონდი სამუშაო ქირის მთელ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში.

თუ ჩვენ (სამეურნეო ფედერაციის შექმნით) სახელმწიფოს მიერ მოსამარაგებლათ დავტოვებთ—სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყველაზე უფრო დიდ და ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალების აღსადგენათ გამოსადეგ საწარმოო დაწესებულებებს ხოლო დანარჩენს გავსცემთ იჯარით, ჩვენ გადავარჩენთ დიდ ფონდს ამიერ-კავკასიის ფონდის გასაძლიერებლათ.

სამუშაო ქირის ერთიანი ფონდის შექმნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საშუალებას მოგვცემს ჩვენ შემოვიღოთ იქ ერთიანი პრინციპი შრომის სასყიდლათ.

ჩვენ შევსძლებთ მაშინ ერთნაირათ გავუსწორდეთ მშრომელებს სხვადასხვა რესპუბლიკების ერთ და იმავე წარმოებაში. ჩვენთვის შესაძლებელი იქნება თანდათან გადავიდეთ მშიერი მინიმუმიდან ცხოვრებისათვის საჭირო მინიმუმზე. და ჩვენ აღარ შევიქნებით მაშინ იმის მოწამე, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურის დროს რკინის გზის მეისრე, რომელიც დგას ფოილოს ხიდის ერთი მხრით იღებს სხვა სამუშაო ქირას, ვინემ მეორე, რომელიც სდგას მეორე მხარეზე, რაც ერთიანი მეურნეობის დროს გავლენას ახდენს წარმოებაზე.

მთელი ამიერ-კავკასიისათვის ერთიან ფონდის შექმნა მოითხოვს, რათა გადაეცეს შრომის ქირის ყველა ფონდები ყოველი ცალკე რესპუბლიკების ხელიდან ცენტრალურ საფონდო კომისიას, რომელიც იქნება მოწყობილი ს. რ. პროფკავშირების საბჭოს კავკასიის ბიუროსთან. ხოლო ეს შესაძლებელია, როდესაც გაერთიანდებიან ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ეკონომიური საბჭო და სასურსათო კომისარიატი. და მანამდი სანამ ჩვენ არ გვექნება სამეურნეო ფედერაცია, ჩვენ მუდამ მოწამენი დავრჩებით შრომის ჯილდოს ერთფეროვნების და არ იქნება გამორკვეული მთელი კავკასიისთვის ცხოვრების საჭირო მინიმუმი.

პროფკავშირების მონაწილეობა ამიერ-კავკასიის სამეურნეო ცხოვრებაში, სამეურნეო ფედერაციის დროს, გაიჩენს მაგარ და მტკიცე საძირკველს. თუ დღეს ეს თუ ის მონაწილეობა კავშირის თავის წარმოებაში გამოხატავს ძალთა განწყობილებას სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირების შორის, სამეურნეო ფედერაციის დროს, როდესაც იარსებებს ერთიანი ცენტრი, გარკვეული წარმოების ხელმძღვანელი და ერთიანი წარმოებითი კავშირი, მონაწილე ამიერ-კავკასიის სამეურნეო ფედერაციისა, პროფკავშირებს ექნება საშუალება, მთელი ამიერ-კავკასიის პროფკავშირებზე დაყრდნობით და სრ. რუს. პროფ. საბჭოს კავბიუროს საშუალებით, საწარმოო დაწესებულებაში უშუალოთ ჩაურევლათ, აქტიურათ მიიღონ მონაწილეობა არა მარტო მთელი ფედერაციის საერთო სამეურნეო გეგმის შემუშავებაში და გატარებაში, არამედ ჩაერიონ თავის წარმოების მოწყობაში და გამგეობაში, ეკონომიურ საბჭოსთან მოწყობილ სათანადო საწარმოო განყოფილებების საშუალებით.

სამეურნეო ფედერაციის შექმნა განსაკუთრებით გააძლიერებს ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირებს. ის გახდის მათ ფედერაციის საწარმოო ძალთა აღდგენის და მოწყობის აქტიურ მონაწილეებათ და კომუნიზმის ნამდვილ სკოლათ.

მხოლოდ პროფკავშირები ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების, რომლებიც მოეწყობიან ფედერაციის ნიადაგზე და აწარმოებენ ყოველდღიურ მუშაობას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შესძლებენ გარდაქმნან ამოცანები ახალი პროლეტარული სახელმწიფოს აშენების და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირის შექმნის.

ი. ფიგატნერი.

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირები ფედერაციისთვის

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის და კიროვის მოხსენებები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ერთსულოვნად ესალმება აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიების სავსებით დროულ გადაწყვეტილებას, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ძალების გასაერთიანებლად რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის სწრაფად აღსადგენათ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია კიდევ უფრო გაამტკიცებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა სისტემის დამყარების შემდეგ დაწყებულ ნაციონალურ მშვიდობიანობას და ჩაუყრის მტკიცე საფუძვლებს ამიერ-კავკასიის ყველა ხალხების ძლიერ ეკონომიურს და კულტურულს აყვავებას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის დაჩაგრულ ხალხების განმათავისუფლებელს ოქტომბრის დიდ რევოლიუციას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასების სოლიდარობას, როგორც ერთმანეთში, ისე გმირულ რუსეთისა და მსოფლიო მებრძოლ პროლეტარიატს შორის.

საყოველთაო სამხედრო სწავლება

ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთ უძლიერეს მხარეს ის შეადგენს, რომ ჩვენ გულახდილად ვუთითებთ მუშებს და გლეხობას იმ შეცდომებზე, რომლებიც აუცილებელია ყოველ დიდ საქმიანობაში, მით უმეტეს საქვეყნო აღმშენებლობაში, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში არ მოეპოვება არც მაგალითი და არც ნიმუში. სრულიად გასაგებია, რომ ჩვენს ახალ საბჭოთა რესპუბლიკაში—საქართველოშიც შესაძლებელია იყოს აღმშენებლობის მხრივ ესა თუ ის ნაკლები. ჩვენი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი ჯერ საკმაოდ ვერ გამაგრებულან, ვერ მოწყობილან; ჩვენს რევოლიუციონურ მუშა-გლეხობას ეს კარგათ ესმით და მთელის თავის ძალ-ღონით მზათ არიან მიეშველნენ მუშა-გლეხთა ხელისუფლებას. საქართველოში ჩვენს ახალ აღმშენებლობაში არის ერთი დიდი ნაკლი—საყოველთაო სამხედრო სწავლების საქმეში, რომელსაც ამ ჟამად კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სხვაგან და რომელსაც რევოლიუციონურმა მუშა-გლეხობამ დიდის გულმოდგინებით მხარი უნდა დაუჭიროს და მიეშველოს ამ საკითხში თავის ავანგარდს. ჩვენში არ უნდა მოიპოვებოდეს არც ერთი ისეთი მუშაკი, რომელმაც არ იცოდეს შინაარსი საყოველთაო სამხედრო სწავლებისა, არ იცნობდეს მის ამოცანებს და რომელსაც არ გაევლოს მისი საორგანიზაციო სკოლა.

ყოველი პატიოსან მუშა-გლეხს უნდა ახსოვდეს, რომ შეუძლებელია დავკმაყოფილდეთ მარტო ჩვენი მტრების თანდათან ერთი მეორეზე მოსპობით; საჭიროა ვისარგებლოთ მოპოებული შესვენებით, უნდა გავითვალისწინოთ ბრძანებითი აუცილებლობა, ისეთი საიმედო ძალის შექმნის, რომელიც მშვიდობიან შრომის საშუალებას მოგვიპოებს. ამიტომ ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა: სოციალურ მეურნეობის შესაქმნელ ძირითად მუშაობის შეუსუსტებლად, ცხოვრებაში გავატაროთ ისეთი სისტემა შეიარაღებულ ძალების სწავლება—ორგანიზაციაში, რომელიც არ ჩამოაშორებს მოქალაქეთ სასარგებლო მუშაობას და ჩვენი ქვეყნის მთელ რევოლიუციონურ მცხოვრებთ ერთს შეიარაღებულ ერად გადააქცევს.

ის არმია, რომელიც ჩვენ შევქმენით არ არის კიდევ ნამდვილი მუშა-გლეხთა არმია, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. ჩვენ არ შეგვიძლიან ხელი ავიღოთ ჩვენ შეიარაღებაზე და ორგანიზაციაზე, მანამდი, სანამ ქვეყანას არ გადავაქცევთ თავისუფალ მოქალაქეთა ბანაკათ, რომელსაც ყოველ ჟამს შეეძლებათ აღსდგეს თავის დასაცავათ. საყოველთაო სამხედრო სწავლებამ ყოველი მოქალაქე უნდა გადააქციოს აქტიურ მეომარათ რომელიც არავის მისცემს უფლებას აბუჩად აიგდოს იგი და, როდესაც ამას მოითხოვს მუშა-გლეხთა სახელმწიფო, მოახერხებს იარაღის მოხერხებულათ ხმარებას. ამ წმინდა სამხედრო ამოცანასთან ერთად საყოველთაო სამხედრო სწავლების ორგანომ როგორც პროლეტარულ რევოლიუციის წიაღიდგან გამოსულმა პროლეტარულმა ორგანიზაციამ: უნდა აწარმოვოს ფართო აღმზრდელობითი მუშაობა და ამგვარად ის უნდა შეიქმნეს კომუნიზმის სკოლად.

საყოველთაო სამხედრო სწავლებას ორგანომ, რომელიც თავის მოქნილი ორგანიზაციის წყალობით, დიდი ქარხნიდგან გადადის პაწია სახელოსნოებში და ახწევს გლეხის ქოხმახს, უნდა ჩააგონოს მუშა-გლეხებს, რომ ის საქართველო, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ და ის, რომლის შექმნასაც ვსცდილობთ, იქნება უკეთესი და უფრო ბედნიერი, ვიდრე საქართველო გუშინდელი.

ჩვენ ისე უნდა მოვაგვაროთ ყველაფერი, რომ ყოველი მოქალაქე ამაყობდეს ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყნის მოქალაქეობით და მზათ იყოს უკანასკნელ წვეთამდე დაღვაროს მისთვის საკუთარი სისხლი.

ამით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ყოველი სოფელი გადაიქცევა სამხედრო ნაწილათ, ასეულად ან ოცეულად, თემი—ათასეულად, მაზრა—ლეგიონად, გუბერნია—ბრიგადად, რომლებიც თავის მუშაკ-გლეხის მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ჩადგებიან რიგებში და თავს იგრძნობენ დიდ მუშა-გლეხურ წითელ არმიის ნაწილად. საყ. სამხ. სწავლების ორგანო ჩააბამს რა მშრომელთა ფართე წრეებს თავის ორგანიზაციაში, მასთან არ არის იმავე დროს სპეციალ სამხედრო ხასიათი და არ გადიქცევა ჩვეულებრივ სამხედრო წრთვნათ. საყ. სამხ. სწავლება გამოიმუშავებს სამხედრო უნარის და ხასიათის ისეთ თვისებებს ადამიანისას რომელიც ერთნაირად გამოსაყენებელი არიან როგორც მშვიდობიან შრომისთვის, ისე სამხედრო მიზნებისთვის.

საყ. სამხ. სწავლების ორგანოებში მუშები სწავლობენ არა მარტო იარაღის ხმარებას, არამედ სისტემატიურად თავის სხეულის გამაგრებით განვითარდებიან ფიზიკურად, ნების ყოფის გამტკიცებით გამოიმუშავებენ მაგარ ხასიათს. ცხოვრებაში ამ საკითხების განხორციელებით, საყ. სამხ. სწავლის ორგანო მუშა-გლეხთა თანაგრძნობით და დახმარებით ახლო მომავალში გადაიქცევა ისეთ ძლიერ ორგანიზაციად, რომელიც მოამზადებს მშრომლებს და თავს მოუყრის მათ ერთ დაუძლეველ სამხედრო-მშრომელ ოჯახში. საჭიროა და უნდა ვეცადოთ შეუსვენებლად ვიმუშაოთ ასპარეზზე და სათანადო ნაყოფის მიღება არ დაიგვიანებს.

ვ. გიორგაძე.

ფედერაციისთვის

არა შთაბეჭდილება, არამედ ფაქტი

დაე იცოდეს ჩვენმა ფარულმა და აშკარა მტრებმა, იცოდეს საქართველოს შოვინისტ-ნაციონალისტურმა ინტელიგენციამ, რომელსაც არაფერი აქვთ საერთო მუშურ-გლეხურ საქართველოსთან, იცოდეს მთელმა ქვეყანამ, რომ ზუგდიდის, სენაკის, სამტრედიის და ხობის რაიონის (ზუგდიდის მაზრა მრავალ რიცხოვან მიტინგებზე არა თუ მშრომელმა ელემენტებმა—მუშებმა და გლეხებმა, არამედ დანარჩენმა მოქალაქეებმაც თავისუფლათ ამოისუნთქეს, როდესაც გაიგეს ჩვენი პარტიის დადგენილება ამიერ-კავკასიის სამი საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს, სომხეთი და აზერბეიჯანის ფედერატიულათ გაერთიანების შესახებ.

დასახელებულ მიტინგების მონაწილეთა ენტუზიაზმმა, რომელიც გამოიწვია ჩვენი პარტიის დადგენილებამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, მე მომაგონა თებერვლის რევოლიუციის პირველი დღეები, როდესაც მცხოვრებლების ყველა წრეები აღტაცებული იყვენ თვითმპყრობელობის დამხობის ფაქტით.

მე მიხდებოდა მოხსენებების ხელ მეორეთ გაკეთება. პირველათ საერთო პარტიულ კრებებზე, შემდეგ კი ფართო მიტინგებზე, სადაც ესწრებოდა განურჩევლათ პარტიულ რწმენისა ყველა მოქალაქე. საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო: როდესაც პარტიულ კრებებზე პარტიული ამხანაგები მელაპარაკებოდენ, რომ 85—90 პროც. უთუოდ სიხარულით შეხვდება ფედერაციის იდეასო—ნამდვილათ აღმოჩნდა, რომ ღია მიტინგებზე არ იყო გაერთიანების წინააღმდეგ არც ერთი ხმა და რე-

ზოლიუციებს იღებდენ ერთხმად. მეტად დამახასიათებელია ისიც, რომ თითქმის ყველა მიტინგებზე იძლეოდენ კითხვებს—როგორი იქნება გაერთიანებულ რესპუბლიკების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან? და როდესაც მე მათ ვუპასუხებდი, რომ მშრომელთა ინტერესები თხოულობს ფედერატიულად გაერთიანებას საბჭოთა რუსეთთანაც, რაც ალბათ მოხდება თავის დროზე, ამ პასუხს მიტინგი ფარავდა გაცხოველებული ტაშით. ჩვენი პარტიის შორსმჭრეტელობა ფედერაციის საკითხში იმაშიდაც გამოიხატა, რომ ჩვენ სწორად გავითვალისწინეთ, რომ საბჭოთა სიყხდები ისტორიულად მოწოდებული არიან ჩამოაყალიბონ ჩვენი დადგენილებები.

ეს აღნიშნა მიტინგების მონაწილეებმა (არა კომუნისტებმა), რომლებიც ამბობდენ, რომ მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოებმა უნდა ჩამოაყალიბონ არსებული ფაქტიური გაერთიანება **მეტი ავტორიტეტისათვის**, როგორც სთქვა თავის სიტყვაში ერთმა მემარცხენე ფედერალისტმა.

უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენი რევოლუციის ისტორიაში მე იშვიათად შევხვედრივარ დიდ პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტის დროს ასეთ აქტივობას, ერთსულოვნებას და ეს ერთსულოვნება საუკეთესო დამამტკიცებელი ფაქტია მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ და თავდებია იმისი, რომ ჩვენი პარტია, პროლეტარიატის პარტიაა, რომელმაც იცის მშრომელთა ინტერესების გამოთქმა—დაცვა და წაყვანა კომუნიზმის გზაზე გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

გ. ხტურუა.

რეზოლუციები

თბილისი.

კომუნალურ მეურნეობის აბანოების მუშათა მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ, რიცხვით 174 კაცმა მოისმინა რა ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ დაადგინა: „ვესალმებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანებას, ვსთვლით მას სავსებით სამართლიანად და სრულად და ეკონომიურად მიზანშეწონილად. ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა, ას წლობის შემუშავებული მტკიცე კავშირი ძალით დარღვეული მუშათა კლასის გა ყიდველის მენშევიკების დაშნაკელების და მუსავატელების მიერ, ხელახლა აღდგენილი მუშათა საკუთარ ხელით—შეჰქმნის იმ ძლიერ პროლეტარულ ძალას, რომელიც რუსეთთან ერთად უზრუნველჰყოფს ჩვენ სრულ გამარჯვებას გარეშე და შინაურ სამეურნეო ფრონტზე.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს!

გაუმარჯოს ძმურ კავშირს ძლიერ პროლეტარულ რუსეთთან!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიონისა და საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის, წევრთა და სამხედრო საინჟინერო კურსების მსმენელთა შეერთებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. ლოლობერიძის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ ერთხმად უერთდება პრეზიდიუმის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას რომელიც ამბობს: „რუსეთის კომუნისტურ პარტიის კავბიუროს და საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცეკას დადგენილება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ ცნობილ იქნას სრულიად დროულად და აუცილებლად. ამიერ-კავკასიის ფედერაციის შეერთებული მეცადინეობა უფრო მალე აღადგენს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მეურნეობას. საერთაშორისო მდგომარეობა ამიერ-კავკასიისა, რომელიც შეადგენს დასავლეთ კაპიტალისტურ მძარცველთა ყურადღების მთავარ ცენტრს, გვაიძულებს შევერთდეთ საერთაშორისო კაპიტალისტთა წინააღმდეგ და შევქმნათ ძლიერი საერთო ფრონტი მათი მტაცებლური სურვილების ასალაგმავათ.

ზუგდიდი.

„მოვისმინეთ რა ამხ. სტურუას მოხსენება ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, ზუგდიდის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება სცნობს მიზან-შეწონილად კომპარტიის მიერ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ მიღებულ დადგენილებას და უსურვებს მათ საბოლოო გამარჯვებას დაჩაგრულ ერების საკეთილდღეოდ. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას! გაუმარჯოს ინტერნაციონალის გზას.

ხობის რაიონი.

ხობის რაიონის კრებამ მოისმინა რა ამხ. გ. სტურუას მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერატიულად შეკავშირების შესახებ, სიამოვნებით ეგებება მას და სიტყვას იძლევა, მხარი დაუჭიროს მის განმტკიცებას.

სენაკი.

სენაკის საერთო პარტიულმა ყრილობამ მოისმინა რა ამხ. სტურუას მოხსენება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ერთხმად იზიარებს მთავრობის და კომპარტიის გონიერ და მიზანშეწონილ ნაბიჯს.

გაუმარჯოს კავკასიის ფედერაციას! გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

ოზურგეთი.

ქალ. ოზურგეთის პროფესიონალურ კავშირების წევრთა და ოზურგეთის გარნიზონის წითელ-არმიელების საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო 2000 კაცი და ქალი, მოისმინა რა საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებული ამხ. ნოე ლეჟავას მოხსენება „მომენტზე და ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაზე“,—სავსებით იწონებს კავბიუროს და ცეკას ასეთ გადაწყვეტილებას, როგორც აუცილებელ ნაბიჯს ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური და სტრატეგიულ უზრუნველყოფისათვის. როგორც ბურჟუაზიული ბანაკი გაერთიანებულია პროლეტარიატის წინააღმდეგ მსოფლიოს მასშტაბით, ისე მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა შეერთებულის ძალით უნდა აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა მსოფლიოს კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რაც ერთად-ერთი თავდებაა მსოფლიო სოციალურ რევოლუციის გამარჯვებისა და მთელი ქვეყნის მშრომელთა შორის მჭიდრო, ძმური კავშირის დამყარებისა.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელ მასების ფედერატიულ კავშირს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას!..

გაუმარჯოს მსოფლიოს სოციალურ რევოლუციას!..

გაუმარჯოს კომუნიზმს!..

თელავი.

მოისმინა რა ამხ. ამირაგოვისა და ბუაჩიძის მოხსენება, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ, თელავის ორგანიზაციისა კომუნისტურ ახალგაზრდათა კომკავშირის და ქ. თელავის სამხედრო პარტიულ ორგანიზაციისა [შეერთებული კრება სთვლის, რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს დადგენილებას სრულიად მიზანშეწონილად და მომწიფებულად, ვინაიდან ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საზოგადოებრივ—ეკონომიურ ცხოვრების განვითარება, მოითხოვს ამ უკანასკნელების მჭიდრო ფედერატიულ კავშირს რათა ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთ, შეეძლოთ დარაზმულად გამოსვლა, როგორც შინაურ ეკონომიურ) ისე გარეშე ფრონტებზე. !გვრწამს, რომ მხოლოდ ყველა მშრომლების მტკიცე კავშირს, შეუძლია აღმშენებლობა ის გზიზე გააძლიეროს და განავითაროს სოციალისტური აღმშენებლობა და აღადგინოს, საბჭოთა ყველა რესპუბლიკების როგორც ეკონომიური ის პოლიტიკური სიძლიერე.

გაუმარჯოს, ამიერ-კავკასიის მუშათა სოლიდარულ შემოქმედებას!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობის ხელმძღვანელს—კომპარტიას!

ტყიბული.

ა | წ. 29 ნოემბერს მოხდა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც გააკეთეს მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაზე, სადაც ერთხმად გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია:

„ჩვენ, ტყიბულის მაღაროების მუშები შევიკრიბეთ მრავალრიცხოვან კრებაზე და მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. პ. ტყაბლაძისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ აღფრთოვანებით ვეგებებით ასეთ გადაწყვეტილებას, რადგანაც მხოლოდ ასეთი ძმური კავშირით მეზობელ რესპუბლიკების მშრომელ ხალხთან მოვიპოვებთ საბოლოო გამარჯვებას.

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის ძმურ სოლიდარულ კავშირს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას!

კრების თავმჯდომარე: **პოლ. ტყაბლაძე.**

შოთა რუსთაველის თეატრი

4 დეკემბერს საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში გაიხსნა დიდებული მგოსანის, შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. ყოფილ არტისტიულ საზოგადოების თეატრის შენობას, რომელსაც მენშევიკების ბატონობის დროს ერქვა ტლანქი „არტო“, დღეს ამშვენებს წითელი წარწერა ქართულ-რუსულათ: **შოთა რუსთაველის თეატრი.**

თეატრის დერეფანში შესვლისთანავე თქვენი თვალი შეჩერდება „ვეფხის ტყაოსანის“ ავტორის ქანდაკებაზე, რომელიც სახელდახელოთ დაუმზადებია სახალხო განათლების კომისარიატის წინადადებით მოქანდაკე ნიკოლაძეს.

„ეროვნული კულტურის შემმუსვრელმა და ბარბაროსულმა საბჭოთა ხელისუფლებამ“ (როგორც ნათლავდნენ ბოლშევიზმს ბურჟუაზიულ-მეშჩანური ელემენტები) ქართული თეატრი მონათლა იმის სახელით, ვისაც ყველაზე მეტი უფლება აქვს ქართული პოეზიის მეფედ ჩაითვალოს.

საზეიმო სალამო გაიხსნა გრ. რობაქიძის სიტყვით. წმინდა აკადემიური მჭევრმეტყველებით მან ანალიზი გაუკეთა შ. რუსთაველის პოეზიის ძირითად და უმთავრეს მოტივ—სიყვარულის გრძნობას, მის მრავალფერადობას. ორატორის სიტყვაში ისე ხშირად სცვივოდა ნაპერწკლები, რომ მსმენელთა ყური ბოლოს ველარ უძლებდა ასეთ „სიბრჭყვიალეს“. მართალია აუდიტორიის დიდ ნაწილს შეადგენდა ქართველი ინტელიგენციის „ნაღები“, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ორატორს თავისი სიტყვა მოემართა ისე, რომ უფრო მდაბიო მსმენელს გარკვეული წარმოდგენა დარჩენოდა რუსთაველის პოეზიის ძირითად თვისებებზე.

შემდეგ დადგმულ იქნა სცენა კ. მესხისა თამარ მეფეს და შ. რუსთაველის დროიდან. სცენამ შთაბეჭდილება მოახდინა გარეგანი ეფექტით, შინაარსის მხრით კი ისევე უნაყოფოა, როგორც დანარჩენი ქართული ისტორიული დრამები.

ბოლოს წარმოდგენილ იქნა შ. დადიანის „როს ნადიმობდენ“. თანამედროვე ამბების აქტიურ მონაწილეთათვის ეს პატარა სახელდახელო მინიატურა საამო მოსასმენია, უფრო კი დასანახი. უკანასკნელი სცენა, როცა ქალაქის და სოფლის მუშის კავშირს სძლევს ძველი ქვეყნის ბატონ-პატრონთ—ფეოდალ-მემამულეს, სამღვდელოებას და კაპიტალისტს, და ამ გამარჯვების სურათს დაჰგუგუნებს პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“, ათეულ მიტინგზე უფრო ნაყოფიერია მაყურებელთათვის. აღმასრულებელნი რომ სათანადო სერიოზობით ეკიდებოდენ თავიანთ როლს, ავტორის პირველი ცდა თანადროულ ცხოვრების მოთხოვნაზე გამოძახილისა, უფრო სასურველად დასრულდებოდა, კლასთა ბრძოლის და გამარჯვების სურათი მკაფიო სახეებათ აღიბეჭდებოდა მუშისა და გლეხის გულში.

ყოველ შემთხვევაში ავტორის პირველ ცდას უნდა მივეგებოთ სიხარულით და ვისურვოთ, რომ შემდეგი მისი მუშაობა ამ მიმართულებით არ შეფერხებულიყოს თანაგრძნობის და ნამდვილი დახმარების ნაკლებობით.

პროფინტერნის კვირა

მოსკოვი. 4 დეკემბერი (რადიო). 1 დეკემბერს მოსკოვში შესდგა საზეიმო კრება, მოსკოვის ყველა პროფკავშირებისა, რომელიც მოწვეულ იყო პროფინტერნის კვირის დაწყების გამო. მისალმების სიტყვით მიმართა კრებას ს. ც. ს. ი. ო. მდივანმა ამხ. რუდზუტაკმა, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „პროფინტერნის კვირა ძალთა მობილიზაციის კვირად უნდა ჩაითვალოს. მან უნდა უჩვენოს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მუშებს, რომ მუშათა ეკონომიურ ბრძოლას შეუძლიან კეთილად, დაგვირგვინდეს მხოლოდ მაშინ. როდესაც პროფკავშირები თავის ეკონომიურ ბრძოლას შეუფარდებენ პოლიტიკურ ბრძოლას, რუსეთის გამარჯვებულ პროლეტარიატის მსგავსად, თვის ქვეყნის რევოლუციონურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირში შესვლით. მთელ დედამიწის ზურგზე 50 მილიონი მუშაზე, მეტი ირიცხება, რომელთა ორგანიზაციაც პროფკავშირებმა მოაწყვეს. ეს ისეთი ძალაა რომელსაც შეეძლო, თამამად, ძლიერ მალე, შეემუსრა, კაპიტალისტური სისტემა, რომ იგი გამსჭვალული ყოფილიყო ინტიმურ ნების ყოფით და ერთი პროგრამით. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეს დიადი ლაშქარი განცალკევებულია ერთი მეორისაგან. მუშათა ამ რიცხვმა მიაღწია 50 მილიონამდე მხოლოდ ამ უკან-სკნელ წლებში. იმპერიალისტურ ომის დაწყებამდე მთელ დედა მიწის ზურგზე 10 მილიონი ორგანიზაციულად მოწყობილი მუშები ირიცხებოდა. ომის შემდეგ მხოლოდ მუშები შევიდნენ კავშირებში, რომ აქ მიეღოთ პასუხი დაწყევლილ საკითხებზე. მთელი 1921 წელი მთელი დედამიწის ზურგზე მიმდინარეობს ჯერეთ უხილველ კაპიტალის იერიშების დროშის ქვეშ. ყველგან ერთის მხრივ სწარმოებს წარმოების შემოკლება, ხოლო მეორე მხრივ სამუშაო დღის გადიდება, უმუშევართა რიცხვის გამრავლება, ხელფასის შემცირება ე. ი. ყველა იმ ბრძოლით მონაპოვართა, რომელიც მუშების მიერ იყო შეძენილი წინედ. ეკონომიურ კრიზისის გამო იწყება კაპიტალის იერიშები და უმუშევრობის ზრდა. შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი 6 მილიონს უდრის, ხოლო ინგლისში—2 მილიონზე მეტს. დიდი უმუშევრობას ადგილი აქვს აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნებში. ყვითელ პროფკავშირების დაპირებებს, რომ ისინი, მშვიდობიან რეფორმებით მოახერხებენ ბურჟუაზიასთან საქმის მოწესრიგებას, არავითარი რეალური ნაყოფი არ მოაქვთ. თვითეული მუშა თვალნათლივ ხედავს, რომ სწარმოებს ორგანიზაციული შეტევა ბურჟუაზიისა მუშათა კლასის მთავარ პოზიციებზე.

სიტყვა ამხ. რადეკისა: „პროფინტერნის კვირა, ამბობს ამხ. რადეკი,“ ეს ერთდაიმავე დროს კომინტერნის ძალთა აღლუმია. უიმისოდ, თუ კომუნიზმმა არ დაიპყრო პროფკავშირთა უმრავლესობა, გამარჯვება საერთაშორისო მასშტაბით, შეუძლებელია. ეს მშვენივრად შეიგნო მსოფლიო ბურჟუაზიამ და მთელი თვის ძალღონით შეეცადა მოეპოვებინა მუშათა ნდობა ყვითელ პროფმოძრაობის მეთაურთა საშუალებით. მსოფლიო ბურჟუაზიას არ სურს დათმობის გზას დაადგეს. მსოფლიო მასშტაბით მას არამც თუ არ ძალუძს ახალ მეურნეობის მოგვარება, პირიქით არ შეუძლია ეკონო-

მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი

IX

თეთრგვარდიელთა ბუნაგი

მძიმე დამარცხებები, რომელნიც განიცადა მოხალისეთა არმიამ წითელ არმიასთან პირდაპირი ბრძოლაში, ანტიბოლშევიკურ ბანდების სულიერ განწყობილებაში საგრძნობი გარდატეხა გამოიწვიეს. ყველაზე უწინ კარგავენ იმედს ანტისაბჭოთა ბანაკის წვრილ ბურჟუაზიული ჯგუფები, ხელს იღებენ მოსკოვისაკენ შეტევაზე. მუშურ-გლეხური რუსეთის მიერ განადგურებულნი, ისინი ამიერიდან აყენებენ ცოტად თუ ბევრად სამშვიდობო ხასიათის ახალ ლოზუნგებს. აი რა დეკლარაცია გამოაქვეყნა, მაგალითად, ყუბანის საგანგებო მისიამ 1920 წლის დასაწყისში:

„ყუბანის საგანგებო მისიას და ყუბანის საოლქო მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მთავრობებთან პატივი აქვთ განაცხადონ, რომ ყუბანის მთავრობა საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი დებულებებით.

1. ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ სამოქალაქო ომში არა ომის გულისთვის. ჩვენ განვაგრძობთ თავისუფლების და დემოკრატიული წყობილების დაცვას, რომელნიც დამყარებულია ყუბანის მხარეში ხალხის ნებით თავისი არჩეული საკანონმდებლო დაწესებულებების საშუალებით. ამიტომ ჩვენ მზადა ვართ ყოველ დროს შევსწყვიტოთ სამოქალაქო ომი, თუ საბჭოთა რუსეთი დასთანხმდება: ა) გაიყვანოს თავისი ჯარები ყუბანის მხარის საზღვრებიდან და ბ) სცნოს ყუბანის თვითმყოფი და დამოუკიდებელი არსებობის უფლება, რომელიც გამოცხადებულია ყუბანის საოლქო რადის მიერ 1918 წლის 5 დეკემბერს.

2. ჩვენ ვაღიარებთ იმ სახელმწიფოების თვითმყოფობას და დამოუკიდებლობას, რომელნიც აღმოცენდნენ რუსეთის ტერიტორიაზე და გამოაცხადეს თავისი დამოუკიდებლობა.

3. ჩვენ ვცნობთ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩაურევლობას, მათ რიცხვში საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებშიაც.

4. ყველა ამ აღმოცენებულ სახელმწიფოების შემდეგში გაერთიანების საკითხი კავშირში ან კავშირებში ამა თუ იმ საფუძვლებზე, ჩვენი შეხედულებით, უნდა გადაიჭრას მხოლოდ და მხოლოდ მათი ხალხების თავისუფალ ნებისყოფის თანახმად.

5. ყუბანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის და მისი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში უფრო მეტი გამარჯვების მიღწევის მიზნით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ყუბანის და რუსეთის ტერიტორიაზე სხვა აღმოცენებულ სახელმწიფოებ შორის შეთანხმების დადება.

6. ჩვენს ბრძოლაში ყუბანის განთავისუფლებისათვის ჩვენ უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ ევროპის და ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოების დახმარებისა.

№ 174.
19 აპრილი 1920 წ.
ქ. თბილისი.

ყუბანის საგანგებო მისიის თავმჯდომარე **ტიმოშენკო.** ყუბანის საოლქო მთავრობის წარმომადგენელი საქართველოს სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკათა მთავრობებთან **დრობაშევი.**

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი“. (საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივიდან).

როგორც ვხედავთ, დამარცხებული ყუბანელები თანახმა არიან არ ჩაერიონ საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში, ისინი მხოლოდ მოითხოვენ საბჭოთა მთავრობისაგან „გაიყვანოს ყველა თავისი ჯარები ყუბანის ოლქის საზღვრებიდან“. ყუბანის მისიამ ამ შემთხვევაში წინსწარ წამოაყენა ჩვენი ქართველ მენშევიკების ლოზუნგები 1921 წელში. მაგრამ სიმართლე მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ქართველი მენშევიკების ახლანდელი ლოზუნგები არა გვგონია ნასესხები იყოს უკანასკნელების მიერ ყუბანელებისაგან: უფრო პირიქით—ყუბანელები აღმოჩნდნენ მაშინ ბატონ გეგეჭკორის და ჟორდანიას გავლენის ქვეშ. მოყვანილ დეკლარაციის 5 მუხლი ყუბანის და რუსეთის ტერიტორიაზე სხვა აღმოცენებულ სახელმწიფოებ შორის შეთანხმების დადების შესახებ გარკვევით ამბობს, რომ ყუბანელები იმ დროისათვის დადგნენ მენშევიკური საქართველოს თვალსაზრისზე, რომელიც მუდამ ამტკიცებდა როგორც ეს ჩვენ დავინახეთ წინანდელ მიმოხილვებში, ყველა განაპირა მთავრობების შეთანხმების აუცილებლობას, რათა, ამნაირად, მოეხდინათ „რუსეთის გაჯანსაღება პერიფერიიდან ცენტრის მიმართულებით“.

მენშევიკური საქართველოს გავლენითვე იმ დროისათვის დადებულ იქნა დამატებითი ხელშეკრულობა სოროჩინის იარმარკასა და კავკასიის მთიელ ხალხების საკავშირო მეჯლის შორის. ამ ხელშეკრულობიდან მოგვყავს მხოლოდ ერთი, მეორე მუხლი: „უკრაინის სახალხო რესპუბლიკა მთელ ხალხებს ფინანსიურ დახმარებას უწევს ჯარის ორგანიზაციისათვის არა ნაკლებ 15,000 მეომარის რაოდენობით მთიელ ხალხების რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისათვის, დაახლოვებითი ანგარიშით თვეში მილიონ ნახევარ მანეთს თითეულ სამხედრო ნაწილზე 3000 კაცის შემადგენლობით, სულ 6 თვეში 45000000 მანეთს, რომელი ჯამიც ეძლევა უკრაინის მთავრობის მიერ კავკასიის მთიელ ხალხთა საკავშირო მეჯლისს, ან მთავრობას, თუ ასეთი იმ დროისათვის მოეწყობა, საქართველოს მთავრობის საშუალებით ან უკრაინის სპეციალური სამხედრო მისიის საშუალებით, რომლის პიროვნული შემადგენლობის შერჩევა მოხდება მთიელ წარმომადგენლების და უკრაინის რესპუბლიკის მთავრობის საერთო თანხმობით, მთიელ სამხედრო ნაწილების ფაქტიურ შედგენისათანავე. გარდა ამისა, მთიელთა არმიის ორგანიზაციის ხელის შესაწყობად იგზავნებიან აგრეთვე უკრაინელები-ინსტრუქტორები.

(„დამატებითი ხელშეკრულობა“, საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივიდან).

საქართველოს პოლიტიკა ეგრედწოდებულ მთიელთა მთავრობის მიმართ სავსებით გამოაშკარავდა გეგეჭკორის სიტყვებში ჩვენ მიერ ხსენებული კაზაკებ-მენშევიკების კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 1920 წლის მარტში.

რომ ეს საკითხი საბოლოოდ ამოვწუროთ, ჩვენ მოვიყვანთ აქ დიალოგს დონის და თერგის წარმომადგენლებსა, ერთის მხრივ და გეგეჭკორს შორის, მეორე მხრივ:

„კოვალიევი“. ნება მომეცით მოგცეთ ერთი კითხვა. როგორ უყურებთ მთიელ დიპლომატიურ წარმომადგენლებს, დამოკიდებულებაში ხართ მათთან საქართველოში. ჩვენ ხომ, ალბად, მოგვთხოვენ განმარტებას, თუ რატომ საქართველოს ჩვენდამი მეგობრულ დამოკიდებულებასთან ერთად იქ არსებობს ჩვენდამი მტრულად განწყობილ მთიელების წარმომადგენლობა, რომელნიც მოითხოვენ თერგის კაზაკების გადასახლებას თერგისა და მალკის იქეთ, თუ რატომ ჩვენი მეგობრულ რესპუბლიკაში კაზაკების წინააღმდეგ გაზეთში: „თავისუფალი მთიელი“ შეუწყვეტლად სწარმოებს ფრიად აშკარა აგიტაცია. ყველაფერ ამას ჩვენ უეჭველად გვეტყვიან ადგილობრივად.

ე. პ. გეგეჭკორი. ჩვენი პოლიტიკის მთავარ მუხლად ითვლება კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება ჩვენს მეგობრებთან. ფაქტი ის არის, რომ ჩვენ მათთან მეზობლობაში ვართ. და მათთან მეგობრობისაკენ ვისწრაფვით, მით უმეტეს, რომ ჩვენ არ გვაქვს არავითარი საფუძველი თანხმობაში არ ვიყოთ ყველა მთიელ ელემენტებთან. ისე რაც ეხლა ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩვენ ნაკლებად გვაკმაყოფილებს, მაგრამ ეს ხომ თვით მთიელებსაც არ აკმაყოფილებს. „თავდაცვის საბჭოს“ შექმნა ბოლშევიზმისაგან თავისუფალ ეროვნული მიმდინარეობით, სარგებლობს ჩვენი დიდი სიმპატიებით. ეს ერთად ერთი მიმდინარეობაა, რომელსაც ჩვენ ანგარიშს უწევთ და თანაუგრძნობთ. ჩვენი მიზანია რათა თქვენ შორის არ იყოს მტრობა.

ბიგაევი. ფიქრობთ თუ არა თქვენ რომ „თავდაცვის საბჭო“ შესძლებს თავის საზღვრების დაცვას, და თუ ბოლშევიზმი ემუქრება საქართველოს რესპუბლიკას, მთიელები მხოლოდ გააძლიერებენ ამ საფრთხეს, ჩაწერებიან რა ბოლშევიკებად.

ზოზულია. მე არ ვეთანხმები ბ. კოვალიევს საკითხის დაყენებაში. საჭიროა მივიღოთ ზომები, რათა გამოვნახოთ საშუალო ხაზი და წავიდეთ იმ გზით, რომელზედაც მიგვითითებს საქართველო.

ე. პ. გეგეჭკორი: ამ საკითხში ჩვენ წინაშე სამი ამოცანაა:

1) საქართველოს მისწრაფება დაეხმაროს მთიელ ელემენტებს მოაწყონ თავისი ცხოვრება.

2) ამ მისწრაფებაში ჩვენ ვხედავთ ჩვენთვის მისაღებ მიმდინარეობას, მიმდინარეობას, რომელიც მიზნად ისახავს თვითმყოფ, დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსებას.

3) მოდუსის შექმნა მთიელებსა და კაზაკებ შორის.

კოვალიევი. პრესა ისეთი ტონით სწერს, რომ მათ ჩვენი თვით შეხვედრაც არ სურთ. ჩვენის მხრივ მთიელებისადმი ასეთ დამოკიდებულებას დღევანდლამდე სრულებით არ ჰქონია ადგილი.

ე. პ. გეგეჭკორი. ისინი ლაპარაკობენ, რომ ყუბანსა და დონთან ჩვენ ყოველთვის გამოვნახავთ საერთო ენას, მაგრამ რაც შეეხება თერგის კაზაკობას, ისინი გადაჭრით სვამენ საკითხს. **მე საჭიროდ მიმაჩნია დამყარდეს თქვენ შორის ერთგვარი მოდუს ვივენდი. ამგვარად, დონმა, ყუბანმა და საქართველომ ცალკე უნდა მოახდინონ მთიელებსა და თერგზე საშუალო ჯგუფის დახამყარებლად.**

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს არქივიდან).

ამ დროიდან ქართველი მენშევიკების მუშაობა იმაში გამოიხატება, რათა შეაკავშირონ ერთ მთელში ტახტის ყველა პრეტენდენტები ახალ განაპირა სახელმწიფოებში. გეგეჭკორი და ჟორდანია ყუბანის, დაღესტნის, მთიელების, უკრაინის მიმართ სვატიო შუამავლის როლს ასრულებენ.

იგულისხმება, ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა იმაზე, რათა საბჭოთა რუსეთს მიხწეული გამარჯვების შემდეგ მშრომელ კაზაკობასთან შეკავშირებით, ხელი გაეწოდებინა ყველა იმ ელემენტებისთვის, რომელნიც ეს ეს იყო თავზარსა სცემდნენ სამხრეთ რუსეთს მთელ მოხალისეთა ხროვასთან ერთად. უკანასკნელი ქართველი მენშევიკების დახმარებით ქმნის ახალ აჯანყებულთა რაზმებს, რომელნიც ამიერიდან პარტიზანობის ტაქტიკაზე გადადიან.

საქართველოს საზღვრებში ჰპოულობენ თავშესაფარს ეგრედწოდებული მთიელთა მთავრობა, „მთიელების და თერგის კაზაკების დამხმარე კომიტეტი ბოლშევიკებისაგან მათი განსათავისუფლებლად“, ყუბანის მოღვაწენი დენიკინის ბანაკიდან, „ჩრდილო კავკასიის საემიროს“ წარმომადგენელნი და ბევრი სხვ. საქართველოდან ეს ორგანიზაციები გზავნიან საბჭოთა ხელისუფლების ტერიტორიაზე აჯანყებულ რაზმებს შემდეგი მიმართულებებით; 1) სოხუმ-კალემარუხის უღელტეხილი და შემდეგ ყუბანის და მდინარე ლაბის სათავეებისაკენ, 2) სოხუმ-კაღე-გაგრა, ადლერი—„წითელი ველი“, უღელტეხილი აიშხა-მდინარე ლაბის სათავე, 3) ქუთაისი—ონი-ნალჩიკი. პირველი მიმართულებით სარგებლობდნენ უმთავრესად გენერალ ხვოსტიკოვის რაზმები, მეორეთი—პოლკოვნიკ პოსეენის რაზმები, რომელნიც მოქმედებდა მაიკოპ,—ნოვოროსისკ—ეკატერინოდარის რაიონში, მესამეთი—ყაბარდის აჯანყებული რაზმები, რომელნიც მოქმედებდნენ მინერალური წყლების და მოზდოკის რაიონში. ადგილის ნაკლებობა ნებას არ გვაძლევს საკმაოდ ნათელვყოთ ყველა ნათქვამი სათანადო საბუთებით. ყველა მასალებს, რომელნიც ამ ტემას ეხებიან, ჩვენ გამოვაქვეყნებთ ცალკე წიგნში, რომელიც გამოცემული იქნება კომინტერნის საგანგებო კომისიის მიერ სულ უახლოეს დროში. აქ კი მოვიყვანთ მხოლოდ რამოდენიმე მასალას ნათქვამის დასამტკიცებლად.

საბუთი №. 1.

„ჩრდილოეთ კავკასიის
რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს და სამხრეთის მთავრობებთან.
20 აპრილი 1920 წ.
№
ქ. თბილისი

საკონცენტრაციო
ბანაკის უფროსს
ფოთში.

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიური მისია საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით გზავნის საკონცენტრაციო ბანაკიდან დაღესტანში ას კაცს, რომელთა სიას წარადგენს მისიის წარმომადგენელი უახლოეს ვადაში. მისიას საჭიროდ მიაჩნია ზემოთქმული დროზე შეგატყობინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიურ კრიზისის ძლევა. იგი ახალ სამხედრო კრიზისს ამზადებს: ყველა ქვეყნის მუშები გრძნობენ ბურჟუაზიის ამ პოლიტიკის შედეგებს ყოველ ფეხის გადადგმაზე. შედეგად ამისა თვით ამ ყვითელ სოციალისტთა მესვეურებმა განაცხადეს რომ არ შეიძლება ფრონტის შებრუნება ბოლშევიკების წინააღმდეგ. ახალ მრისხანე კატასტროფის მოახლოვება, რომელიც გამოიხატება უმუშავრობაში ინგლისსა, ამერიკასა და გერმანიაში, ეკონომიური კრახი, რომელიც დღითი დღე მატულობს, ახალ მსოფლიო ომის დაწყების საშიშროება, როგორც შედეგი მიუხწეველ მოლაპარაკებისა ვაშინგტონის კონფერენციაზე, —სუყველა ეს მიაქანებს მუშებს, თუნდაც არა კომუნისტებს მარცხნივ და მათ უკან ითრევს მათ ყვითელ მეთაურებს. ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიაში უკანასკნელ კვირაში უკვე ძლიერდება მუშათა მოძრაობის ტალღა, რომელიც მთელ საერთაშორისო ბურჟუაზიისთვის გაფრთხილებათ უნდა ჩაითვალოს. მდგომარეობა გვაიძულებს ამ ჟამათ ვიფიქროთ, რომ ახლოვდება მომენტი, როდესაც კომინტერნი და პროფინტერნი მოახერხებს ბრძოლის ბრწყინვალე ჩატარებას ამსტერდამის წინააღძეგ.

ამხ. რადეკის სიტყვის შემდეგ კრება ადასტურებს შემდეგ მისალმებას საერთაშორისო პროლეტარიატისადმი: „მოსკოვის ყველა პროფკავშირების საზეიმო სხდომა, რომელიც მოწვეულია პროფინტერნის კვირის დაწყების გამო, სალამს უძღვნის მსოფლიოს მთელი რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელიც დიდი ჯგუფებით განაგრძობს მსვლელობას წითელ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. რუსეთის პროლეტარიატმა მიერ, გაძვალტყავებულ და განადგურებულ ქვეყანაში გაბედა გადამწყვეტ ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა, თვის ნაციონალურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მედგარ იერიშით მან შემუსრა თავისი კლასობრივი მტერი და ხელთ იგდო პოლიტიკური ხელისუფლება. 4 წელიწადია, რაც რუსეთის მუშათა კლასი მედგრად იგერიებს შეიარაღებულ იერიშებს მოტანილს გაშმაგებულ ბურჟუაზიის მიერ. მან მოიგერია ეს იერიშები და მოქანცული ამ ბრძოლით განაგრძობს თვის ხელში პყრობას აჯანყების დროშისას—მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ რუსეთის მუშათა კლასმა გონება არ დაკარგა და არ დაითვრა თვის გამარჯვებით. დარწმუნებულია რა იგი თვის საქმის საბოლოო გამარჯვებაში, მან იცის, რომ ამ გამარჯვებას მოიტანს მხოლოდ ძლიერი ტალღა მუშათა მსოფლიო მოძრაობისა. მთელ თავის იმედებს რუსეთის პროლეტარიატი უკავშირებს თქვენს ბრძოლას, საზღვარგარეთელო ძმებო. ყოველივე ახალს მონაპოვარს სხვა ქვეყნის რევოლიუციონურ მუშებისას, რომელნიც ანთავისუფლებენ მუშათა მასებს ბურჟუაზიის ამსტერტამის აგენტებისაგან, რუსეთის მუშათა კლასი ეგებება, როგორც სიმბოლოს მუშათა კლასის საქმის გამარჯვების მოახლოებისას. პროფესიონალურად დარაზმულ რუსეთის პროლეტარიატს ახსოვს რა სულ მუდამ, რომ რუსეთის მიერ დაწყებულ ბრძოლის შედეგი გადაწყდება მუშათა მსოფლიო მოძრაობით, პროფინტერნის კვირაში დანიშნა ფართე აგიტაცია და მჭიდრო კავშირი საზღვარგარეთელ მებრძოლ ძმათადმი ჩვენ მიზნების და გზის სადემონსტრაციო მთლიანობისთვის.

რუსეთის მუშათა კლასის სახელით ჩვენ გიწვევთ თქვენ, მსოფლიოს მუშებს, ჩადგეთ რევოლიუციონურ პროფკავშირების რიგებში, რომელნიც პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო საბჭოს მისდევენ უკან. ჩვენ გიწვევთ თქვენ საბრძოლველად თქვენს ბურჟუაზიის და მუშათა კლასის გამყიდველების წინააღმდეგ, გაუმარჯოს რევოლიუციონურ ბრძოლას ფართე მასსებისა ბურჟუაზიის დასამხობად. მრავალრიცხოვანი რაზმებით პროფინტერნის რიგებისაკენ.

კაპიტალიზმის სამეფოეში

ირლანდია

ირლანდიის საკითხი.

ნაუენი. 3 დეკემბერი (რადიო) ზომიერთა მიმდინარეობას ირლანდიაში ემჩნევა გაძლიერება. სიმფეინერების ზომიერთა ჯგუფი მოითხოვს დაჟინებით ულსტერის წინადადების მიღებას და კავშირის დაწესებას იმ ფორმით, რომელსაც ინგლისის მთავრობა მოითხოვს.

ინგლისი

ბრიტანეთის ნოტა.

მოსკოვი. 3 დეკემბერი. (რადიო) ლონდონის გაზეთების ცნობით, ბრიტანეთის მთავრობა თავის უკანასკნელ ნოტაში, საფრანგეთის მთავრობის ყურადღებას, აქცევს იმ გარემოებაზე, რომ მას ჯერჯერობით რატიფიკაცია არ მოუხდენია იმ საერთაშორისო საფინანსო კონვენციისა, 1921 წ. 13 ავგისტოს თარიღით, რომლის ძალითაც 1 მილიარდი მარკა, გადახდილი გერმანიის მიერ 31 ავგისტოს, ასანაზღაურებელ ხარჯთაღრიცხვის ძალით, უპირველეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს იმ ხარჯების დასაფარად, რომელიც საოკუპაციო ლაშქრის შესანახადაა საჭირო და შემდეგ ბელგიის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. ნოტა აღნიშნავს, რომ ფინანსიურ შეთანხმებათა რატიფიკაცია ინგლისის მხრივ არ მოხდება, ვიდრე საფრანგეთის მთავრობა რატიფიკაციას არ მოახდენს 31 ავგისტოს კონვენციისას. შემდეგ ამისა ინგლისის მთავრობას თავის ნოტაში შეკითხვა შეაქვს საფრანგეთისადმი იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯის გადადგმას აპირებს, გერმანიის დანარჩენ კრედიტორების ინტერესთა უზრუნველსაყოფელად, იმ შემთხვევაში, თუ ვესბადენის შეთანხმება ძალაში შევა.

ვაშინგტონის კონფერენცია.

ბორდო 3 დეკემბერი (რადიო). ამერიკული გაზეთები იტყობინებიან რომ ვაშინგტონის კონფერენციის მე-4-ე პლენალური კრება, შესდგება არა უადრეს, მომავალ ოთხშაბათისა. კრების გადადება გამოწვეულია ბალფურის წასვლით ნიუიორკში, საცა იგი 2 დღე დარჩება. შანცერმა განაცხადა რომ იტალია მოითხოვს ისეთ უმნიშვნელო რამეს, როგორც საფრანგეთი ე. ი.—საზღვაო თავდაცვით უფლებებს. შანცერმა ხელახლა ენერგიულად უარყო ის შეურაცხყოფა, რომლის მიყენებასაც აწერენ ბრიანს იტალიისადმი. „ტაიმსის“ ცნობით იაპონიაში ცხრება ოპოზიცია, საზღვაო ძალთა პროცენტულ დამოკიდებულების დაწესების საკითხში. მომეტებული რიცხვი დათმობის გზას ადგია. იმ კომისიამ, რომელიც განიარაღებაზე მუშაობს, ეტყობა საბოლოოდ შეიმუშავა საზღვაო ერთეულთა დამოკიდებულების პროექტი. ამერიკის დელეგაცია, რომლის დისციპლინასაც »ტაიმსის« კორესპონდენტი ქებით იხსენებს, მხარს უჭერს იმ ციფრებს, რომელიც მან თავიდანვე დააწესა და რომელიც დიდ ბრიტანეთის, შეერთებულ შტატების და იაპონიისთვის გამოიხატება 5, 5, 3 პროგრესიაში. იაპონია მოითხოვს დამატებას ტონებით 10, 10, 7 პროგრესიამდე. ეს საკითხი პოლიტიკურ მოღვაწეთა განსახილველად გადაეცა. საფრანგეთი, რომელიც მოითხოვდა იმავე ტონაჟს, რასაც იაპონია ე. ი. 300000 ტონნას წინააღმდეგ 500000 ტონისა ინგლისისა და შეერთებულ შტატებისათვის. უსათუოდ დასთანხმდება 200000 ტონნას, როგორც ეს დაწესებულია იტალიისათვის, რაიც მისცემს 5, 5, 3, 2, 2. პროგრესიას. რჩება მხოლოდ ტონაჟის დაწესება სუმბარიის და სხვა დანარჩენ სახის ხომალდებზე.

— შორეულ აღმოსავლეთის კომისიის დღიური წესრიგი ითვალისწინებს 3 საკითხს: ჩინეთის, ციმბირის და მყუდრო ოკეანის კუნძულების შესახებ. თვითეული საკითხი, ჩინეთსა და ციმბირის შესახებ, იყოფა 7 მუხლად. ჯერ კიდევ არ დამთავრებულა განხილვა საკითხისა ჩინეთის შესახებ. ძნელ გადასაჭრელ საკითხს წარმოადგენს საკითხი უცხოელ, ოკუპაცია მოხდენილ, ჯარების შესახებ. იაპონია, რომელსაც ერთი ბათალიონი უყენია ხანკოუსა და შანდუნსა და ერთი დივიზია მანჯურიაში, მზადაა გაიყვანოს ეს ჯარები, გარდა მანჯურიისა, რადგანაც მანჯურიაში ჯარები უყენია თანახმად ხელშეკრულებისა, და წესების დასაცავად იგი საჭიროა. შანდუნის საკითხის შესახებ ჩინეთი და იაპონია თანხმდებიან შეერთებულ შტატების არბიტრაჟზე „ტაიმსის“ კორესპონდენტი ამბობს, რომ საქმეში ჩახედულ წრეებში განცვიფრებას არ გამოიწვევს ის გარემოება, თუ ისეთი არეული ხელშეკრულება, როგორც ინგლის-იაპონიის შორისაა დადებული, გონივრულად იქნება განხორციელებული. „ტაიმსის“ კორესპონდენტის ცნობით, პოლიტიკურ წრეებში, დარწმუნებულნი არიან, რომ ბრიანს სურს უფრო ახლო კავშირი და თანამშრომლობა განამტკიცოს ინგლისთან.

მოსკოვი. 4 დეკემბერი (რადიო. მოელიან ხიუზას გამოსვლას, ოფიციალურ წინადადებით, ინგლის იაპონიის კავშირის მოსპობის შესახებ წინადადებას ასაბუთებენ იმ მოსაზრებით , რომ კავშირი ორ სახელმწიფოსი, რომელთა ფლოტიც შეერთებულ შტატების ფლოტსა სჭარბობს, ხელს უშლის განიარაღების საქმეს.

— იტყობინებიან, გარდინგს განცხადება შეუტანია, რომ საჭიროა მოწვეულ იქმნეს კონფერენციაზე გერმანია. ამ განცხადებას საფრანგეთში დიდი აღელვება გამოუწვევია, რადგანაც გერმანიის ამ მოწვევას კონფერენციაზე შედეგათ მოჰყვება ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა. გერმანია მზადაა გაგზავნოს ვაშინგტონში მცირე დელეგაცია.

— პარიზში გამოქვეყნებულია ინგლისის ნოტა, რომელმაც დიდი აღელვება გამოიწვია. ინგლისის მთავრობა თანხმდება ფლოტისა და საზღვაო ძალების შემცირებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი ამის კვალობაზე შეამცირებს თვის ხმელეთის ძალებს. ნოტა წინასწარმეტყველობს კონფერენციის კრახს, ვინაიდან ბრიანის კატეგორიულ განცხადების შემდეგ საფრანგეთი არ დათანხმდება თავის ლაშქრის შემცირებაზე.

— გაზ. »იუმანიტე“ წერილში »ნავთი და დიპლომატია« სწერს, რომ ვაშინგტონის კონფერენცია წარმოადგენს, ასე თუ ისე, ბრძოლას უმსხვილეს კაპიტალისტებისას მთელი ქვეყნის ნავთის გასანაწილებლად. ეს ბრძოლა დაწყებულია ბოროტ სანავთო სინდიკატის მიერ, რომელსაც გარდინგი მეთაურობს.

— **მოსკოვი** 6 დეკემბერი (რადიო). გერმანიისა და რუსეთის მოწვევას ვაშინგტონის კონფერენციაზე მიზნადა აქვს ინგლის ამერიკის და გერმანიის შეთანხმება, რომლის ძალითაც ინგლისი და ამერიკა აძლევენ გერმანიას გრძელ ვადიან სესხს, გერმანიის საქონლის საექსპორტოდ რუსეთში. გერმანიის ექსპორტის წამოსვლა რუსეთისაკენ მოკავშირეთ თავიდან ააცდენს გერმანიის კონკურენციას, თვით გერმანელებს კი საშუალება მიეცემათ ასანაზღაურებელ თანხათა გადახდისა. გარდა ამისა განზრახულია შეთანხმება გერმანიასთან რუსეთის სამეურნეო ცხოვრების აღდგენის საკითხში ინგლის გერმანიის თანამშრომლობით, გერმანიის მუშათა ხელის შემწეობით და ინგლისის ხარჯზე მასალების მიწვდენით.

პატარა ფელეტონი

რეცენზია

(გრ. რობაქიძის 4 დეკ. წარმოთქმულ სიტყვის გამო

ბატონებო! ვით ლექტორი, ვიქმ საქმესა ამადარი:
ვისაც ჰქვია რუსთაველი, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი,
ვინც გამოსჭრა ტარიელის რაინდული სულის ნაკვთი,
მის საჭვრეტად ბერძნულ ჭრაქში ვინც ჩაასხა ბაქოს ნავთი,
და ამ რიგათ შეაზავა აღმოსავლურ-დასავლური,
ვინც მასწავლა, რომ სცენაზე დავუარო მეც დავლური,
აი მისთვის მეც ამელამ მოვილესე ენის წვერი:
ავმეტყველდი, ენამჭევრის ალტაცებით დავითვერი,
და პოემაც რუსთაველის ისე მაღლა ავსწი ამით,
რომ მიწის ჩრდილს ავაშორე, მზის შუქში ვხვევ დღით და ღამით...
ჩემის სიტყვით, მას დავასვი უკვდავების დიდი მარკა!
ამის შემდეგ სად რუსთველი, სად დანტე და სად პეტრარკა?!.
ნესტანის წინ სახემკრთალობს ლაურა და ბეატრიჩე!..
რუსთაველში მე ვიპოვე აზიელი სიხალიჩე...
ევროპაშიც კი არა ვართ ჩვენ მნახველი მისი მსგავსის,
მის პოემას უხვად ასდის სურნელება ძველი ხავსის.
სპარსულ-თურქულ-არაბული და ქართული შვენის „ხტილი“...
მასთან რაა რენესანსი, ან გოტიზმი დახვრეტილი?!.
მასში მოსჩანს საშინელი მთლიანობა პოეტიკის:
ლხინი... ლხინი... თუმცა ღვინოს მეტს არ ხმარობს ერთი ტიკის.
ნესტანი—ეს ვეფხი არის, სიყვარულის მზის ნატეხი,
ტარიელი -ეს ლომია შეუდრეკი, როგორც მეხი,
როგორც ხვადი თვის ძუ ვეფხის თავგანწირვით მაქებარი,
დიდ მანძილის სამოკლებლათ ცხენოსანი და მხედარი;
იგი ცხენის ნაწილია ორგანიულ-ბუნებრივი,
მოახტება... მას რათ უნდა სხვა სიმდიდრე ქონებრივი?!.
სიყვარული რუსთაველმა საიდუმლოთ აღიარა,
მისი ძალის შესაგრძნობლათ მხოლოთ ორი აზიარა,
მესამეთ კი ავთანდილი აირჩია გასანდობათ...
(თუმც ეს რიგი აქ ლექტორმა მოიყვანა შემცდარ ცნობათ
და მესამე პიროვნება გამოსტოვა მან ასმათი,
კაცს ოთხამდის თვლას ავიწყებს უთავბოლო მასლაათი.
რას არ იტყვის, რას არ შესთხზავს, თუ გაუძლებს ენის „ხტილი“,
თუ ენის წვერს გაუხსნელად არ დაადგა დროზე კბილი!..
მაგრამ, ალბათ, თვით ლექტორიც თვითონ იჯდა ამ დროს ცხენზე
და მჭევრობის საფრქვევლიდან სიტყვებს ჰყრიდა მაღლა სხვენზე.
მსგავსი მხედრის გადამკიდემ ქვაზე წაჰკრა ცხენმაც ფეხი
და პირუტყვიც მართალია მხედრის თავქვე გადამჩეხი!..

ონისიმე.

ქრონიკა

◆ **თბილისის კალენდარი.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ქ. თბილისის რევკომის სტატისტიკ განყოფ. მიერ შედგენილი თბილისის კალენდარი. ეგზემპლიარი ეღირება 10,000 მან. კალენდარში მოთავსებულია მრავალი საყურადღებო და საჭირო ცნობები, მისამართი ყველა დაწესებულებათა და აღწერილობა თბილისისა. ბითუმად არა ნაკლებ 50 (ცალი) კალენდარი დაეთმობა მყიდველებს ფასდაკლებით (8.000 მან. ცალი . კალენდრის შეკვეთა შეიძლება წინდაწინ ქალ. სტატ. განყოფილ. სამნეო ნაწილის გამგესთან (შტაბის ქუჩა № 2, მესამე სართული .

◆ **საქონელი სპარსეთიდან.** გემ „ისლამით“ მოიტანეს გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის მისამართით ენზელიდან შემდეგი საქონელი: ჩამ-

---

დიპლომატიური წარმომადგენელი
მდივანი“.

(საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივიდან).

საბუთი 2.

„ტელეფ. 8—22.

საქართველოს რესპუბლიკის ბ. გარეშე საქმეთა მინისტრს.

მისიის ცნობებით, მოხალისეთა ნაწილებთან ერთად საქართველოს საზღვრაზე გადმოვიდნენ დაღესტნის ცხენოსანი პოლკები და ყაბარდოს ცხენოსანი დივიზია. ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკისა და საქართველოს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება მინერგავს მტკიცე რწმენას, რომ ხსენებული ნაწილები, რომელნიც წარმოადგენენ ჩრდილოეთ კავკასიის ნაციონალურ ჯარს, ა რ შეიძლება განხილულ იქნან როგორც მოხალისეთა არმიის რაზმები. მე პატივი მაქვს ვთხოვო თქვენს აღმატებულებას ხსენებული ნაწილების გადაცემა ჩემი მთავრობის განკარგულებაში, იარაღით, ცხენებით და მთელი სადივიზიო და საპოლკო ქონებით, ოფიცერთა უფროსთა შემადგენლობას მისი პოლიტიკური ფიზიონომიის საკითხის გამორკვევამდე გთხოვთ უყოთ ინტერვენცია საერთო საფუძველზე. თქვენი მთავრობა ადვილად მიხვდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წესრიგის დასამყარებლად და ეროვნულ ხელისუფლების განსამტკიცებლად განსწავლულ და დისციპლინიან ხალხის ასეთი საგრძნობი კადრის ყოლას. ჩემი შუამდგომლობის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში ეს ნაწილები დაუყონებლივ იქნებიან გაგზავნილნი ან დაღესტანში, ან კავკავის რაიონში, ადგილობრივად მდგომარეობის მიხედვით. იმედი მაქვს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მოისურვებს მოგვცეს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისადმი კეთილ განწყობილი დამოკიდებულების თვალსაჩინო საბუთი და დაეხმარება მათ ისტორიის ამ გადამწყვეტ ჟამს მათი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში.

ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს და სომხეთის მთავრობასთან.

(ხელმოწერა).

მდივანი (ხელმოწერა.

საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივიდან .

საბუთი № 3.

საიდუმლოდ.

„პოგოდინის მოხსენების ასლი შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე“.

„საქართველოს რესპუბლიკის ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს“.

ორი წლის მუშაობის შემდეგ ანტი ბოლშევიკურ ორგანიზაციებში ა. | წ. მაისის თვეში მე მომიხდა გამოქცევა აზერბეიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე. გამოვცხადდი გენერალ სუმბათაშვილის შტაბში, მივეცი სრული ცნობები ბოლშევიკების ჯარების მდებარეობაზე, რომელნიც მაშინ უტევდნენ საქართველოს და გენერალ სუმბათაშვილის წინადადებით, გამოვცხადდი თბილისში მთავარი შტაბის საოპერაციო განყოფილებაში, სადაც მივეცი იგივე ამომწურავი ცნობები გენერალ ზაქარიაძეს.

(ცნობა: მოწმობა, მოცემული საოპერაციო განყოფილების მიერ 1920 წლის 4 მაისის თარიღით № 633).

თბილისში შევხვდი ჩრდილო-კავკასიის მრავალ მთიელს, რომლებთან მაკავშირებდნენ უწინდელი მეგობრული ურთიერთობანი, მე შევედი მთელ ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციის შემადგენლობაში, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი დამოკიდებულება კოლოევსა და კამპანიასთან, და მთლად გადავყევი ამ საქმის სამსახურს. ხუთი თვის განუწყვეტელი მუშაობის განმავლობაში, მთელ მოღვაწეებთან ადგილობრივად და აჯანყებულთა პატარა რაზმების უფროსებთან უშუალო ურთიერთობის გზით, უსახსროდ და გარედან ყოველგვარ დახმარების გარეშე, მოხერხდა მთელი ჩრდილო-კავკასია, აგრეთვე მრავალი პირი, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, ჩრდილოეთ კავკასიის საუკეთესო საზოგადო მოღვაწეობის სახით,—შევეკავშირებია საერთო ქსელით და მიმდინარე დროისათვის მოგვემზადებინა ყველაფერი, რათა აღგვემართა საყოველთაო აჯანყების დროშა ჩრდილოეთ კავკასიაში.

გვესმის რა საქართველოს მდგომარეობა, მის მიერ დადებულ ხელშეკრულების გამო, მთელი ეს ფართე, დიდი მუშაობა წარმოებდა ფარულად და არც ერთს ჩვენს მოღვაწეთაგანს არ შეუქმნია პრეცედენტი საქართველოსა და საბჭოთა მისიას შორის დამოკიდებულების გასამწვავებლად.

9 ნოემბერს საგანგებო რაზმის აგენტებმა დამაპატიმრეს შინაურულად, ერთი დღის შემდეგ განმათავისუფლეს, შემდეგ გამომეცხადა, რომ ორი დღის განმავლობაში უნდა დავტოვო საქართველოს ტერიტორია. იმის გამო, რომ მე დაკისრებული მქონდა მთელი პოლიტიკური სამუშაო ჩრდილო კავკასიაში და აქაც მყოფ ფრიად სხვა და სხვა პარტიების და ჯგუფების გასაერთიანებლად, მე იძულებული ვიყავი, მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა კანონისადმი, გვერდი ამევლო უკანასკნელისათვის, რადგან ერთი წუთითაც არ ვთვლიდი შესაძლებლად მიმეტოვებინა დაწყებული დიდი საქმე ჩრდილო-კავკასიის განთავისუფლებისა ბოლშევიკების ულლიდან.

იმის გამო, რომ ბოლშევიზმი წარმოადგენს არა პირადად ჩემს პერსონალურ მტერს, არამედ ყველას მტერს, ვინც პატივცემით ეპყრობა სახელმწიფოებრივობას, მე უმორჩილესად გთხოვთ, შესცვალოთ დადგენილება ჩემს გადასახლებაზე და მომცეთ მე რაიმე საბუთი, რომლის ძალით შემეძლება ცხოვრება თბილისში. ამასთან გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ პირველ მოთხოვნისთანავე მე ყოველთვის გამოვცხადდები იქ, სადაც მომეცემა წინადადება, მეტეხის ციხეშიაც, და ჩემი ყოფნით საქართველოში არ შევქმნი არავითარ საბაბს რაიმე უსიამოვნებისათვის საბჭოთა მისიასთან, ვინაიდან ჩემი მუშაობა იწარმოებს კიდევ უფრო ფარულად. თუ საჭიროა თავდებნი ქართველი მოღვაწეებიდან, ასეთები საკმაოდ აღმოჩნდებიან.

12 ნოემბერი 1920 წ. ქ. თბილისი.

ა. პოგოდინი“.

პორუჩიკი პოგოდინი გაგზავნილი იყო სამხრეთ-რუსეთის შეიარაღებულ ძალების მთავარსარდლის შტაბის, მზვერავი განყოფილების მიერ ჩრდილო-კავკასიაში საგანგებო საიდუმლო დავალებით. თბილისში მან თავად მელიქოვისა და თუმანოვთან ერთად შეადგინა ზემოდ-ხსენებული „დახმარების კომიტეტი«...

საბუთი № 4.

მთიელ ხალხების ყველა
შარიატის ჯარების სარდალი.
№ 81.
1 თებერვალი 1921 წ.
მომქმედი არმია.

საქართველოს მთავრობას.

ამის წარმომდგენს, ჩემს პირად ადიუტანტს, პორუჩიკ მუსა ცახოის, ვგზავნი საუკეთესო კეთილმეზობლურ გრძნობების და საქართველოს ხალხისადმი მთიელ ხალხების კეთილ სურვილების თქვენთვის გადასაცემად, და აგრეთვე რათა გამოარკვიოს თქვენი ხალხის და მთავრობის შეხედულებანი და დამოკიდებულება ჩვენდამი და იმ ამბებისადმი, რომლებიც მოხდა და ამ ჟამადაც ხდება ჩვენში, მთებში, ბოლშევიკებთან 5—6 თვის ბრძოლის განმავლობაში. ისტორიაში არ ყოფილა ისეთი ხალხი, რომელსაც ებრძოლოს თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თითქმის ცალიერი ხელებით ასეთი მძლავრი მტრის წინააღმდეგ. არა ერთხელ ყოფილა შემთხვევები და ფაქტები, რომ მთიელები, როცა გაუთავდებოდათ პატრონები, მარტო ერთი გაშიშვლებული ხანჯლებით დასეოდნენ ბოლშევიკების მრავალრიცხოვან რაზმებს, რომლებსაც ამაგრებდა ასეული ტყვიისმტყორცნელი და ათეული ზარბაზნები, და ამოხოცავდნენ მათ სულერთიანად, ხოლო დავლად ნაშოვნი იარაღს და პატრონებს მაშინათვე იყენებდნენ სხვა ფრონტზე ბოლშევიკებისავე წინააღმდეგ.

ჯიუტი მტერი, მიუხედავად იმისა, რომ მათი მთელი არმია, ე. ი. 15,000 კაცამდე ამოჟლეტილია დაღესტნის მთებსა და ხეობებში, მაინც ცდილობს გაიკაფოს გზები ალყა-შემორტყმულ სიმაგრეებისაკენ და * იხსნას თავისი გარნიზონები, რომლებსაც სიმშილისაგან დაღუპვა მოელით. ჩვენც ვიღებთ ყოველ ზომას, ეს არ დაუშვათ, თუმცა ჩვენ გვიხდება მათთვის წინააღმდეგობის გაწევა თითქმის მარტო ხანჯლებით, პატრონების უქონლობის გამო. რომ ჩვენ გვქონოდა პატრონების საკმაო რაოდენობა, უკვე დიდი ხანია, რაც ბოლშევიკებს განვდევნიდით მთიელთა ტერიტორიიდან.

თუ კი საქართველო როდისმე შესძლებს დაეხმაროს თავის ძმებს მთიელ ხალხებს, აჯანყებულ მთიელების სახელით ძალიან გთხოვთ დაგვეხმაროთ ნივთიერად, პირველ რიგში პატრონებით, შესახვევი მასალებით, თუ შეიძლება ფართლეულითაც.

ალმოჩენილი დახმარება გთხოვთ გაიღოთ მხოლოდ ჩემი ზემოხსენებულ ადიუტანტის საშუალებით, რომელიც აჯანყების დაწყებიდანვე მუშაობს აქ ჩემთან, ხოლო ის ოფიცრები—დაღესტნელები, რომელნიც ცხოვრობენ თბილისში, როცა დაღესტანი სისხლიდან იცლება და ამას უდარდელად უყურებენ, არ არიან დაღესტნის შვილები, არამედ მისი მოღალატენი არიან.

ალმოჩენილ დახმარებისათვის დაღესტანი და ყველა მთიელი ხალხები შესძლებენ სამაგიეროს გადახდას.

ჯარების სარდალი პოლკოვნიკი (ხელმოწერა).

შტაბის უფროსი პოლკოვნიკი (ხელმოწერა).“

ადიუტანტი პორუჩიკი (ხელმოწერა .

(საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს არქივიდან .

ყველა მოყვანილი საბუთები მოწმობენ კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების რთული ქსელის არსებობას, რომელნიც სარგებლობდნენ მენშევიკური მთავრობის დახმარებით. ამ ორგანიზაციებს ჰყავდათ თავის განკარგულებაში შეიარაღებული ბანდები, რომელნიც იგზავნებოდნენ ყველა ამ დახმარების კომიტეტების ბრძანებით სხვა და სხვა საბჭოთა პროვინციებში და იქ აჯანყებებს აწყობდნენ. საქართველოს მთავრობამ არამც თუ მიანიჭა ყველა ამ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს მოქმედების თავისუფლება, არამედ ყოველნაირად ხელს უწყობდა მათ: აწვდიდა საჭირო საომარ მასალას, აძლევდა საშუალებას თავის რაზმებში მოხალისეთა შეკრებისას და სხვა და სხვა დიპლომატიური კომბინაციებით აძლიერებდა მათი პოლიტიკურ ბატონობას.

შეადარეთ ამ თავში მოყვანილი ცნობები ჩვენი მერვე მიმოხილვაში მოთხრობილ ფაქტებს, გაიხსენეთ ხვოსტიკოვის რაზმის ისტორია, დამწყვდეულ მოხალისეების საიდუმლო გაქრობა ფოთისა და სხვა პუნქტებიდან, მოლაპარაკება საფრანგეთის მისიასთან, და თქვენ დარწმუნდებით, რომ 1920 წელში მენშევიკური საქართველო დიდი აქტიურ როლს თამაშობდა ანტიბოლშევიკურ მსოფლიო კოალიციაში.

მის ტერიტორიაზე მოქმედებენ არა მარტო აჯანყებულთა რაზმები, არამედ ვრანგელის აგენტებიც, ისევე როგორც ანტანტის იმპერიალიზმის ერთგული მსახურნიც. შემთხვევით არ მომხდარა, რომ ვერსალის გმირები განხილულ წელში უფრო და უფრო ააშკარავებენ თავის სიმპატიას მენშევიკურ საქართველოსადმი. როგორც ცნობილია, სულ თავის არსებობის ბოლოს იქნა იურიდიულად ცნობილი ჟორდანიას მთავრობა ანტანტის მიერ. ეს აღიარება წარმოადგენდა სამაგიეროს გადახდას სიკეთისათვის: საქართველოს გადაქცევისათვის სრულიად რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ბაზად.

საბუთიდან № 4 ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთად მენშევიკური საქართველო რჩება ვრანგელის განადგურების მერე, უკანასკნელი ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგაც. მენშევიკებს კავშირი აქვთ გაბმული სხვა და სხვა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან, რომელნიც აწყობენ აჯანყებებს საბჭოთა რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში.

ჩვენ არ გამოუდგებით აზერბეიჯანის, სომხეთის და სხვათა განთავისუფლების ყველა ამ სხვა და სხვანაირ დამხმარე კომიტეტების ისტორიის მოთხრობას, არც მრავალრიცხოვან ინციდენტებისას, რომელნიც თავის დროზე აღნიშნული იყვნენ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლების მიერ საქართველოში და რომელნიც მოწმობენ უმჭიდროეს კონტაქტის არსებობას საქართველოს საგანგებო რაზმისა და საფრანგეთის და ვრანგელის კონტრმზვერავებ შორის. ადგილის ნაკლებობა ნებას არ გვაძლევს ვილაპარაკოთ ამ შედარებით წვრილმან ფაქტებზე, რომელნიც ზედმეტჯერ უსვამენ ხაზს საქართველოს არსებობას ანტი-ბოლშევიკურ კოალიციაში.

მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ მასალაც, რომელსაც თავს ვერ დააღწევენ ქართველი მენშევიკები, არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმაში, რომ წმ. დავითის მთის ძირას კონტრ-რევოლიუციის მგლებს, დათვებს, მელებს და გველებს ბუნაგი ჰქონდათ მოწყობილი.

აქ ყველა ეს მტაცებლები ქსოვდნენ ინტრიგებს, აქედან აწყობდნენ თავის გამოსვლებს, თავის ყაჩაღურ თავდასხმებს. რევოლიუციის ნებით პროლეტარიატი მიწვდა ამ ბუნაგს და თავისი ცეცხლოვანი ცოცხით გამოგავა იქედან მთელი თეთრგვარდიელური სიბინძურე.

ი. შაფირი.

პა ბრინჯი—1552 მ., წონით 10,967 ფ. 31 გირვ. და 2 ჩალტი 304 მ., წონით 1962 ფ. 5 გ., მეტტო 1935 ფ. 16 გირ.

◆ **ექსპორტის საერთო გეგმა.** გაერთიანებულ ვაჭრობის აღრიცხვის კომისია ამ ჟამად იმუშავებს საერთო ექსპორტის გეგმას. პროექტში გათვალისწინებულია საექსპორტო ორგანოებისა, კოოპერატივების და აგრეთვე კერძო პირების მიერ დამზადება. დამუშავებული პროექტი წარედგინება დასამტკიცებლად გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კოლეგიას.

◆ **ჩაქვის ჩაი.** ჩაქვის მამულში დამუშავებული ჩაი სულ აიღო სასურსათო კომისარიატმა.

◆ **სახ. უნივერსიტეტში.** სამკურნალო ფაკულტეტმა ოდესიდან ჩამოსული მეცნიერები მოიწვია შემდეგ კათედრებზე: პროფესორი გოგიტიძე—ბავშვთა სნეულებათა კათედრაზე, პროფესორი ქუთათელაძე—ფარმაცია ფარმაკოგნოზიის კათედრაზე, ლოლობერიძე პატალოგიურ ანატომიის კათედრაზე

◆ **სახელმწიფო სტატისტიკა.** ამ წლის 20 დეკემბერს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იწვევს სამაზრო და საქალაქო სტატისტიკურ ბიუროების გამგეთა კონფერენციას სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად. ეს არის პირველი, სრული სტატისტიკური კონფერენცია, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოს ნორჩ სტატისტიკის აქტიური ხელმძღვანელნი და მომქმედნი ძალნი. თავის დინჯ საქმიან მუშაობით მან უნდა ჩაუყაროს მტკიცე საფუძველი სტატისტიკურ აზრის მოქმედებას საქართველოში.

◆ **განათლების კომისარიატში.** ამ ჟამათ, განათლების კომისარტატის მთლიანი შრომის სკოლის განყოფილებასთან არსდება ჯგუფობრივი მეცადინეობა სასკოლო ასაკს გადაცილებულ ბავშთათვის 9—17 წლიანამდი ამ სკოლაში სწავლის მსურველებმა უნდა შეიტანონ განცხადება განათლების კომისარიატის მთლიანი შრომის სკოლის განყოფილება, განცხადებებში უნდა იქნეს აღნიშნული შემდეგი ცნობები: 1) ეროვნება, 2) რომელ ენაზე ლაპარაკობს და სურს სწავლა, 3) ასაკი, 4) მომზადება, (წერა-კითხვის მცოდნეა თუ არა, ან რამდენი განყოფილება აქვს დამთავრებული) 5) საღამოს თუ დილას სურს მეცადინეობა, 6) მისამართი კომისარიატის № აღნიშვნით. ყველა გამგეებს სთხოვენ მოაწყონ რეგისტრაცია: სასკოლო ასაკს გადაცილებულთა თავის რაიონებში და 20 დეკემბრისათვის შეგროვილი მასალა გადასცენ სახ. განათლების კომისარიატს (ოთახი № 5).

—

შეცდომის გასწორება.

წერილში ბეჭდვითი კავშირის შესახებ („კომუნისტი“ № 229 „მბეჭდავთა კავშირი აღფრთოვანებით ხმას აძლევს კომუნისტებს“) დაშვებულია კორექტურული შეცდომა. სწერია: „მბეჭდავთა პროფესიონალური ორგანიზაცია იყო საქართველოს მუშების ერთად-ერთი მნიშვნელოვანი გაერთიანება, რომელიც მწვავედ განიცდიდა მენშევიკური ძალ-მომრეობის გამათახსირებელ გავლენას“. უნდა იყოს: „მბეჭდავთა პროფ-ორგანიზაცია იყო საქართველოს მუშების **ერთ-ერთი** მნიშვნელოვანი გაერთიანება“ და სხვ. ანგარიშში მბეჭდავთა კავშირის წევრთა კრების შესახებ სწერია: ეხლა ბაქოს მუშას არ შეუძლია ძველ გაკვეთილს ანგარიში გაუწიოს“ უნდა იყოს... **„ანგარიში არ გაუწიოს“.**

სრულიად საქართველოს სახალხო განათლების და პოლიტგანათლების განყოფილ. მეორე ყრილობა

განათლების სახ. კომისარის ამხ. კანდელაკის სიტყვა.

ყრილობას ხსნის განათლების სახალხო კომისარი ამხ. კანდელაკი. ორატორი აღნიშნავს, რომ ყრილობა იხსნება მძიმე ეკონომიურ პირობებში.

სრულიად საქართველოს პირველ ყრილობის დროს არ იყო გარკვეული გეგმა მუშაობისა. ამ ყრილობაზე ჩვენ მიერ აღრიცხული იყო ყველა დეფექტები და მიუხედავად მატერიალურ მძიმე პირობებისა, ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება. ეს ჩვენ გვასწავლა რუსეთის მუშაობამ. ჩვენი ვალია ვისარგებლოთ ამ გამოცდილებით. ჩვენი ყრილობის მიზანია მივსცეთ მუშაობას გეგმა—შეწონილი ხასიათი. ამიტომ საჭიროა ანგარიშზე ავიღოთ ყველა ჩვენი ძალები და დაწესებულებანი და უზრუნველვყოთ მუშაკები სახელმწიფოს რესურსების მიხედვით.

ორატორი აღნიშნავს განათლების მუშაკთა გმირობას, რომელნიც მიუხედავად მძიმე პირობებისა, არ სტოვებენ თავიანთ სამუშაოს.

ჩვენ უნდა გამოვნახოთ ამ მძიმე მატერიალურ მდგომარეობიდან გამოსავალი. ყრილობის მიზანია დაწესებულებათა აღრიცხვა, შტატების შემოკლება და საჭირო მუშაკთა უზრუნველყოფა.

სახალხო განათლების მეორე ყრილობამ უნდა ჰქონდეს პრაქტიკული ხასიათი.

მისალმებანი

ყრილობას ესალმებიან: პროფკავშირის წარმომადგენელი ამხ. ყურულაშვილი.

საქართველოს წითელი ლაშქრის სახელით ამხ. ოკუჯავა.

კავკასიის ცალკე ლაშქრის ამხ. კორობოჩკინი.

აგრეთვე საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენელი.

ამხ. მ. ორახელაშვილი ესალმება ყრილობას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სახელით.

„საერთო ეკონომიური მძიმე მდგომარეობა ისტორიის ბრალია და არა ჩვენი. თუ ჩვენის მხრივ არის რაიმე შეცდომები დაშვებული, ამაზე ყრილობამ უნდა მიგვითითოს. კრიტიკა საჭიროა. კრიტიკის ჩვენ არ გვეშინია. ეხლა, როდესაც სამოქალაქო ომი დასრულდა, მთელი ძალები გადმოყვანილ უნდა იქნას განათლების ფრონტზე“.

ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი აკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე ახალი ეკონომიური პოლიტიკასთან დაკავშირებით. აი მოკლედ მისი შინაარსი:

„მთელი მსოფლიო ორ ბანაკად არის გაყოფილი. ერთია ქვეყანა კაპიტალის უღლიდან განთავისუფლებულ მონებისა, ქვეყანა, სადაც გაისმის მედგარი ხმა „ინტერნაციონალისა“. მეორე, სადაც ისმის სიმღერა სიძულვილისა მიმართული იმათკენ, რომელთაც ასწიეს დროშა „წმინდა კერძო საკუთრების“ წინააღმდეგ. იბადება კითხვა როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ეს ორი ბანაკი: საბჭოთა და ანტანტა. ამ ჟამად მათ შორის დამყარდა რამდენიმეთ წონასწორობა, რომელიც ნათელ მიმართულებას აძლევს საქვეყნო პოლიტიკას, მაგრამ ანტანტა ყოველთვის ისწრაფვის მოსრისოს საბჭოთა ქვეყნები ჩვენზე გარშემორტყმულ წვრილ სახელმწიფოთა წასისინებით. თვით ანტანტა ხელშეკრულია და ჩვენს წინააღმდეგ ერთი კაცის გამოყვანაც არ შეუძლია. ჩვენ ვხედავთ დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის ღრმა გარდატეხას. დასავლეთის სამხედრო წრეებს ვერ მოუნელებიათ და ვერ შერიგებიან შრომის უფლებას. ამ მხრივ მოსალოდნელია ხიფათი დღეს თუ არა, ხვალ მაინც, მაგრამ თვით ნიადაგი ბურჟუაზიის ბატონობისა შერყეულია. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთიო, საბჭოთა რესპუბლიკებში, მეფობს ყველა ხალხების მიმართ უანგარო დამოკიდებულება, ანტანტის ჯოჯო შვილი „ერთა ლიგა“ სულს ლევს.

შეეხო რა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის საკითხს, ამხ. ორახელაშვილმა სთქვა: ამიერ-კავკასია არის ის ორღობე, რომლიდანაც ანტანტა ისწრაფვის აღმოსავლეთისაკენ. ჩვენ უნდა გავმაგრდეთ. აი საიდან დაიბადა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის აზრი. ჩვენ მოვლონიერდებით ფედერატიულ კავშირში. უნდა გავაერთიანოთ სამხედრო ძალების მთავარი ხელმძღვანელობა და ფინანსიური პოლიტიკა საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის, მათი სრული დამოუკიდებლობის ნიადაგზე.

პოლიტ-განათლებლობის უმთავრეს მიზანს უნდა შეადგენდეს ფართო მასაში გადატანა ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და ფედერაციისა და ამ იდეების გავრცელება, მათი დასაბუთება.

ფედერაციის შექმნით ჩვენს მხარეზეა ყველა შანსები, რომ შევიქმნეთ ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის მეთაურებათ.

ამხ. ორახელაშვილი თავის სიტყვას ათავებს შემდეგით: მშიერმა, ფეხშიშველმა რუსეთმა უჩვენა მთელ ქვეყანას ახალი გზები, რომელზედაც უნდა შედგეს ახალი განათლება. ჩვენ ძლიერნი ვართ, ვინაიდან ზურგს უკანა გვყავს რ. ს. ფ. ს. რ., რომელსაც სწყურია ყველა მშრომელთა განთავისუფლება როგორც, აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ვინც გაცნობილია საბჭოთა რუსეთის ახალ რუქას, მისთვის უეჭველი იქნება მცირე ერთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში. ის მუშურ-გლეხური რესპუბლიკა, რომელმაც ისტორიის არქივიდან ამოიყვანა თანამედროვე ისტორიის სარბიელზე სხვა და სხვა მივიწყებული ხალხები—ვოტიაკები, მორდვა, ჩუვაშები, ყირგიზები, ბაშკირები და სხვა და სხ., და არ დაკმაყოფილდა მათი ფორმალური თვითგამორკვევის უფლებით, არამედ მისცა და აძლევს საშუალებას ნამდვილად განამტკიცონ ეს თვითგამორკვევა, გააჩაღონ სალი ეროვნული კულტურა და საკუთარი სახე მიიღონ ნუ თუ ასეთი რესპუბლიკა როდისმე განიზრახავს წინმსვლელობის გზაზე გადაეღობოს საქართველოს ხალხებს, რომელთაც საკუთარი ისტორია აქვთ და საკუთარი უნარიც განვითარებისა“.

უკუაგდეთ ეს შიში, აამოძრავეთ ხალხის ყველა ძალები, იმოქმედეთ, იბრძოლეთ ძველი წესწყობილების ამოსაფხვრელათ, ახალი, შრომის სუფევის დ სამყარებლათ. თქვენ ძალებს შეუერთდება დიდი რუსეთის ყველა ძალა-საშუალებანი და ჩვენ შევქმნით ახალ ცხოვრებას, თავისუფალს, ლამაზს, კმაყოფილს.

ამხ. მარიამ ორახელაშვილს შემოაქვს წინადადება, რომელიც ყრილობამ ერთხმად მიიღო—გაეგზავნოს მისალმების დეპეშა რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო განათლების სახალხო კომისარს ამხ. ლუნაჩარსკის და არჩეულ იქმნას იგი ყრილობის საპატიო თავმჯდომარეთ.

სხდომის დასრულებისას ამხ. კანდელაკი აქვეყნებს ყრილობის პროგრამას.

ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან შემდეგი პირნი: ამხ. დ. კანდელაკი, მარიამ ორახელაშვილი და ბრიხნიჩევი, თაქთაქიშვილი, ხაჭაპურიძე, მეძმარიაშვილი, ბახტაძე, პაატაშვილი და ქობულია.

რევკომების ყრილობა

მოხსენებები ადგილებიდან

ზ უ გ დ ი დ ი

პირველ მოხსენებას ადგილიდან აკეთებს ზუგდიდის მაზრის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ქავთარაძე.

მაზრის ადმინისტრაციული დაყოფა დარჩა იგივე, რაც იყო მენშევიკების დროს; მოვაწყეთ მხოლოთ სამი ახალი თემი. სულ 52 თემია. სარაიონო რევკომები არ არსებობს. სათემო რევკომების შემადგენლობა სამ წევრიანი ტეხნიკურ მდივნათ, მაგრამ ზოგიერთ დიდ თემში რევკომები შესდგება 4 წევრისაგან. ყოველ თემში 1 მილიციონერია. სათემო რევკომების პირადი შემადგენლობა თითქმის ყველგან საიმედოა.

მოსახლეობა რაღა თქმა უნდა, მისი ღარიბი ნაწილი—კაი თვალით უცქერის საბჭოთა ხელისუფლებას; დათესილია 6000 დესეტინა მეტი იმაზე, რასაც უკანასკნელ 2-3 წელიწადს სთესდნენ, მაგრამ წვიმებმა ხელი შეუშალეს და 30-40 პროც. ნაკლები მოსავალი მიიღეს. ეს მოსავალი ვერ დააკმაყოფილებს მოსახლეობას, ამიტომ სამაზრო რევკომი შუამდგომლობს თესლის მიცემის შესახებ.

სამეგრელოში მუდამ დიდი ყაჩაღობა იყო ხოლმე. პირველი დღიდანვე ჩვენ ამნისტია გამოუცხადეთ ბოროტ-მოქმედებს და პირველათ ისინი ჩუმად იყვნენ, მაგრამ ერთი—ორი თვის შემდეგ ყაჩაღებმა მოითხოვეს სამსახურში მიგვიღეთო. ჩვენ უარი უთხარით და ორი თვის შემდეგ ბევრმა ბოროტმოქმედმა განაახლა თავისი მუშაობა, მაგრამ დავიჭირეთ და ცენტრის ნებართვით დავახვრეტინეთ. ყაჩაღობის მოსპობამ მეტათ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მასებზე, მოსახლეობა მეტად მადლიერი დარჩა. ეხლა მაზრაში სულ 7 ყაჩაღი დარჩა, იმალებიან ტყეებში და რომ აცივდება, ისინი მოსპობილ იქნებიან. ცარცვა შემცირდა და ეხლა თავისუფლათ შეგიძლიანთ სიარული არა თუ მარტო სოფლიდან სოფელში, არამედ მთელ მაზრაში,

საადგილ-მამულო განყოფილების მუშაობა განსაზღვრული არ იყო. გამოიცა დეკრეტი № 17 და განმარტება № 41, მათი გაგება სხვა და სხვანაირათ შეიძლება, მაგრამ ადგილებზე გადასწყვიტეს ისე აასრულონ ისინი, როგორც უკარნახებთ რევოლიუციონური სინიდისი. მიწის განაწილების საქმეში. ჩვენ მივიღეთ ლოზუნგი: მთელი მიწა უნდა დამუშავებულ იქმნას.

ყოველი მოქალაქე მოითხოვდა და ჩვენც ვაძლევდით 2-3 დესეტინას, მაგრამ ყველას ვაფრთხილებდით, რომ დაუმუშავებელ მიწის ყოველ ნაგლეჯისათვის პასუხს აგებენ და მის შედეგად მეტათ ცოტა დაუმუშავებელი ადგილი დარჩა, ობლებისა და ქვრივების სასარგებლო ჩვენ დავტოვეთ ნაწილი მიწისა, რომელიც დაამუშავა საზოგადოებამ. მიწები, რომლებიც ეკუთვნის ფიზიკურათ მომუშავე მუშებს, გადაეცა დასამუშავებლათ გლეხებს და მიღებულ მოსავლიდან ნაწილი გადაეცა ამ მუშების ოჯახების სასარგებლოთ. წითელ არმიელების ოჯახების შესახებ. მივედით შემდეგი დასკვნამდე: წითელ ლაშქრელთა ოჯახებს, რომლებიც არ არიან მუშათა ოჯახებიდან, არ მიეცეს მიწის მოსავლის ნაწილი, რომელიც არ იყო მათ მიერ დამუშავებული, არამედ უნდა იქმნან შენახული სამაზრო ფონდის ხარჯზე

ეკონომიური განყოფილება უზარმაზარია: არის სახერხი ქარხანა, 3 გზატკეცილი, რომლის შეკეთება გადაწყვეტილია, მაგრამ პირველ ოქტომბრამდის სახალხო—მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან არაფერი არ მიგვიღია, მხოლოთ 1 ოქტომბერს მივიღეთ 20 მილიონი მანეთი, რომელიც დაურიგეთ მოსამსახურეებს ჯამაგირში. სამაზრო რევკომმა მისცა ეკონომიურ განყოფილებას სესხის სახით 20—24 მილიონი, მაგრამ უკან ჯერ არ მიუღია. განათლების განყოფილება მუშაობს კარგათ: მოაწყვეს სამოსწავლო კურსები, მაგრამ ცენტრის განკარგულებით კურსები გაუქმებულ იქმნა და მასწავლებლებს ჩვენ ვწვრთნიდით თვითეულათ. ფული არ მიგვიღია და მასწავლებლები იმყოფებიან საცოდავ მდგომარეობაში. სახალხო სასამართლოგაიხსნა მხოლოთ 35 დღის წინა,დ მინამდის კი სამაზრო რევკომი ასრულებდა მის მოვალეობას.

მაზრაში დეზერტირები არ აღემატებიან 10 კაცს. ელექტრონის სადგური და დინამო-მანქანა შესწორებულია ჩვენს საშუალებით, დარჩენილია მხოლოდ მავთულების გაყვანა. ამისთვის საჭიროა 60 მილიონი მან. და 15 დეკემბრისთვის ორივე სასახლე ყოფ. თავ. მინგრელსკისა განათებული იქნება.

მენშევიკების მიერ იყო ზომები მიღებული ყველა ხიდების მოსასპობად. მათ მიერ დანგრეული დიდი ხიდის მაგიერ რევკომმა მესანგრეთა საშუალებით გააკეთა ხის ხიდი. შეკეთებულია 15 ხიდი. ხობის დიდ ხიდს რკინის გზის სამმართველო არ უშვება რემონტს და მოძრაობა ამ რკინის გზის დიდ ნაწილზე შეწყდა, ახლა ზუგდიდიდან რკინის გზით უნდა წახვიდე არა ხობში, 18 ვერსით, არამედ ახალ-სენაკში—41 ვერსის სიშორით.

მილიცია შემდგირია საიმედო პირებისაგან.

სასურსათო გადასახადის საქმე კარგათ მიდის. არსებობს მუშაო კოოპერატივი. გახსნილია სამი გიმნაზია, 11 პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი და 20-ზე მეტი პირველდაწყებითი სასწავლებელი და საბავშო სახლი 50 საწოლით.

პარტიული ცხოვრება

ტფილისის მეორე რაიონში.

ტფილისის ორგანიზაციის 2 რაიონის კომუნისტურ იაჩეიკათა მდივნების თათბირზე მოსმენილ იქმნა მოხსენებანი ადგილებიდან.

ყოფ. სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკის იაჩეიკა, პასუხისმგებელ მდივნის მოხსენებით, დაარსდა მაისის 5 და 15 ამხანაგობისაგან შესდგებოდა, რომელთა შორის 2 პარტიის ნამდვილი წევრი იყო. მაგრამ მუშაობა სუსტად მიდიოდა გამოცდილ მუშაკების უყოლობის გამო. მას შემდეგ, როდესაც შეერთებულ იქმნა დიდუბის ელექტრონის სადგურის იაჩეიკა, მუშაობა ცოტა გაცხოველდა, იაჩეიკის სხდომები წესიერად სწარმოებდა, მოხსენებანი იკითხებოდა პოლიტიკურ თემებზე, არკვევდნენ სამეურნეო საკითხებს, ზომებს იღებდნენ წარმოებათა შრომის ნაყოფიერების ასაწევად. იაჩეიკის დადგენილება უშუალოდ იაჩეიკის სახელით ცხოვრებაში ტარდებოდა. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სუსტია, მაგრამ თანდათან ცხოველდება. უსწავლელთათვის არის სკოლა. საფაბრიკო კომიტეტი შესდგება 2 პარტიულ ამხანაგისაგან და ერთ უპარტიოსაგან. საფაბრიკო კომიტეტის მუშაობა სწარმოებს იაჩეიკასთან კონტაქტით. მიჩნეული ამხანაგი წესიერად არ ესწრება იაჩეიკის სხდომებს. პარტიულმა დისციპლინამ პარტიის გაწმენდის შემდეგ აიწია.

ყოფილ ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხნის იაჩეიკაში მთავარი ყურადღება ექცეოდა წარმოებაში შრომის ნაყოფიერების აწევას. ახლად არჩეული მუშათა კომიტეტი კარგად მუშაობს. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სუსტად მიდის. იაჩეიკაში ირჩეოდა პოლიტიკურ და სამეურნეო ხასიათის საკითხები. იაჩეიკის წევრთა შორის დისციპლინა სუსტია. სისტემატიური მუშაობა იაჩეიკაში არ არის, ვინაიდან არ არის მიჩნეული ამხანაგი. უკანასკნელი აუცილებელია სასწრაფოდ გამოიგზავნოს. ყოფილი „კომეტას“ თამბაქოს ფაბრიკის იაჩეიკაში მუშაობა რეგულირულად სწარმოებს, მოწერილი ამხანაგი წესიერად დაიარება სხდომებზე.

პროფესიონალური ორგანიზაციები, საფაბრიკო კომიტეტები დ სხვა ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ მათში მომუშავე ამხანაგების გულგრილობით. სისტემატიური მუშაობა უპარტიო მასის შორის არ არის. თათბირი, მოისმინა რა თამბაქოს ფაბრიკების იაჩეიკთა ყველა დანარჩენ პასუხისმგებელ მდივნების მოხსენებანი, საჭიროთ სცნობს პარტიულ დისციპლინის აწევას წევრთა და კანდიდატთა შორის იაჩეიკაში. რაც შეეხება ყუთების დამზადებელ ქარხანას, დაადგინეს, წინადადება მიეცეს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს მეტი გაძლიერებული მუშაობა აწარმოოს ახალგაზრდობის შორის ხსენებულ წარმოებებში.

წინადადება მიეცათ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის, ადმინისტრატიულ-სამეურნეო და წმინდა საკავშირო საკითხები გადასწყვიტონ სარაიონო კომიტეტის პლენუმში, იაჩეიკის მდივნებთან და მეთამბაქოეთა კავშირის ფრაქციის ბიუროს თანადასწრებით. წინადადება მიეცეს მიჩენილ ამხანაგებს უფრო წესიერად იარონ იაჩეიკების სხდომებზე და უფრო სისტემატიურად აწარმონ მუშაობა მათი გაღრმავებით დ გაფართოვებით.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის» შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საბჭოთა არჩევნებისთვის

დღეს 7 დეკემბერს დილით სრულ 10 საათზე სახელმწიფო დრამის დარბაზში (შოთა რუსთაველის სახელობის) შესდგება საბჭოთა დაწესებულებების მე-4-ხე ჯგუფის თანამშრომელთა საერთო კრება, თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა პირველ საბჭოს დელეგატების ასარჩევად. მე-4-ხე ჯგუფში შედიან შემდეგი დაწესებულებანი:

ა) თბილისის ქალაქის მილიციის სამმართველო, ბ) თბილისის ხაზინა, ვ) ცეკავშირი, გ) მილიციის მთავარი სამმართველო, დ მომარაგების საბჭო (სოვსნაბ. ე) სააქციზო სამმართველო, ზ) ცალკე სატრანსპორტო განსაკუთრებული კომისიის სამმართველო (ოტო ჩეკა) და კ) გადასახადთა სამმართველო.

აღნიშნული დაწესებულებების თანამშრომელთ წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ დანიშნულ დროს არჩევნებზედ. ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, 7 დეკემბერს დილით სრულ 12 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგება საბჭოთა დაწესებულებების მე-3-მე ჯგუფის თანამშრომელთა საერთო კრება, თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა პირველ საბჭოს დელეგატების ასარჩევად. მე-3-მე ჯგუფში შედიან შემდეგი დაწესებულებანი: 1. ფინანსთა კომისარიატი, 2. იუსტიციის კომისარიატი და სამომრიგებლო უბნები, 3. საგარეო საქმეთა კომისარიატი, 4. საქართველოს რევკომი, 5. თბილისის სამაზრო რევკომი, 6. საქართველოს საგ. კომისია, 7. ქალაქის რევკომი, 8. ქალაქის სასურსათო კომიტეტი, 9. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატი, 10. ყველა აღნიშნულ დაწესებულებათა თანამშრომლებს ევალებათ გამოცხადდენ დანიშნულ ადგილზე თავის დროზე.

საბ. მოსამს. კავშირის საარჩევნო კომისია.

მთავარი დამზღვევი კასა

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და დამზღვევ კასების (სავათმყოფო კასების) გამგეობებს

ქალაქ თფილისის მთავარი დამზღვევი კასის ახალი გამგეობა თავის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6) 20 დეკემბერს იწვევს სრულიად საქართველოს

დამზღვევ კონფერენციას

კონფერენციის დღის წეს-რიგი:

1. მთავ. დამზღვ. კასის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მიმდინარე მომენტი და მუშათა სოციალური დამზღვევის ამოცანები.
4. შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა

1. თვითეული სამაზრო პროფბიურო აგზავნის ერთს წარმომადგენელს.
   შენიშვნა 1. იქ, სადაც არსებობს დამზღვევი კასის გამგეობა—წარმომადგენელი იგზავნება ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან.
   შენიშვნა 2. ჭიათურისა და ტყიბულის კასების გამგეობები აგზავნიან უშუალოდ ორ-ორ წარმომადგენელს.
2. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანდატები.

გამგეობა.

დეკემბრის 15 საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი

იწვევს ქალ. ტფილისში შრომის განყოფილებების გამგეთა ყრილობას.

ყრილობის დღიური წეს-რიგი:

1. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო მოქმედების შესახებ მოხსენება.
2. შრომის სახ. კომისარიატის მოქმედება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.
3. მოხსენებანი ადგილებიდან.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. შრომის ბეგრის შესახებ.
6. მუშათა ძალის აღრიცხვის შესახებ.
7. მიმდინარე საქმეები.

სრულიად საქართვ. მწერალთა კავშირის

ჟურნალი

„ლ ო მ ი ს ი“

გამოსვლას იწყებს 1922 წლის 1 იანვრიდან ყოველ-კვირეულად. დაიბეჭდება ორიგინალური და ნათარგმნი: ლექსები, მოთხრობები, დრამატ. ნაწარმოები, სამეცნიერო და კრიტიკული წერილები სიტყვა-კაზმული მწერლობის, თეატრის, მუსიკისა და მხატვრობის შესახებ; წერილები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გამოკვლევები, მოგონებები, ბიოგრაფიები; სპეციალური წერილები ქართული ლექსის მეტრის, რიტმის და ფორმის შესახებ. უცხოეთის ხელოვნების თანამედროვე მიმდინარეობანი; ხელოვნების მატიანე, ბიბლიოგრაფია, მხატვრული რეპროდუქციები.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია ხელოვნების სასახლეში (სერგ. ქუჩა, სახლი 13, ტელეფ. 17—51) სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის **გალაკტიონ ტაბიძის** ნახვა შეიძლება იქვე ყოველ-დღე, დღის 12—2 საათამდე. დასაბეჭდათ გამოგზავნილი მასალა ხელმოწერილი უნდა იქნეს ავტორის მიერ, აგრეთვე ნაჩვენები უნდა იქნეს მისამართი.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა.

ტირაჟი 10,09 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.